ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2018 №254 (7799) ფასი: 60 თეთრი

თემურ ალასანია გავრცელებულ ჩანაწერზე – ამათ ან ჩვენ ვგონივართ სრული იმბეცილები, ან ქართველი ხალხი, რომელმაც ეს უნდა უპირობოდ გადაყლაპოს

გვ.2

„ბიძინა ივანიშვილი ერთ წელიწადში მიდის“

გვ.2

შაქრო ტერტერაშვილი: „ბელადის თავზე რომ რაღაც კარგი არ ხდება, კი იციან „ოცნებაში“, ბოლომდე მაინც არ სჯერათ. ისევ ილუზიების ტყვეობაში არიან, მაგრამ ისეც ვეღარ მხიარულობენ, როგორც წინა წლებში მხიარულობდნენ არჩევნების წინ. არჩევნების მერე მიხვდებიან, რომ საქმე ძალიან ცუდად აქვთ.

საპატრიარქო აქციებით იმუქრება

გვ.3 მეუფე ილარიონი: „მარიხუანის კულტივაცია განხილულიც არ უნდა იყოს“

დემურ გიორგელიძე: „ლარის რეალური ღირებულება 4-მდე აღწევს“



გვ.5

„მოდით, 1 დოლარი იყოს 50 თეთრი. ამით რა გამოვიდოდა? ჩვენი ეკონომიკა მთლიანად გაჩერდებოდა და აზრს დაკარგავდა“

მიხეილ ბენიძე: „საჯარო სამსახურებში დასაქმებულებს 10-15 მხარდამჭერის მობილიზებას ავალებენ, გვაქვს მოსყიდვის ფაქტებიც“

გვ.3

რა დარღვევები გამოიკვეთა წინასაარჩევნო კამპანიის დროს

გვ.4

სოსო ცინცაძე: „საპრეზიდენტო არჩევნები ახალ პოლიტიკურ რეალობას შექმნის“

„კოალიციური მთავრობის შექმნა აუცილებელია“

გვ.4

სამართალი გვ.7

სლოტ კლუბ „ვეგასში“ მამაკაცს მოგებული თანხის მოთხოვნის შემდეგ სასტიკად გაუსწორდნენ

„მცდელობა ჰქონდა ჩემს გატაცებას... პოლიცია დუმს“ – ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი ავტომანქანის ნომერს აქვეყნებს

ე.წ. კანონიერი ქურდი მინდია ლავასოღლი ტრაპიზონში დააკავეს

ეკონომიკა გვ.6

„ჩემ მიერ წარმოებული სუნელი ტყვიას არ შეიცავს“ – ქართული სუნელის მწარმოებელი კომპანია Geo სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებს

„საქართველოს ფოსტას“ ყოფილი თანამშრომლისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა

„რეგულაციები ვისი იდეაცაა, გამოჩნდა, ახლა ეროვნული ბანკი და მთავრობა ცდილობს ეს დავალება შეასრულოს“

ISSN 1987-9385

5 ოკუპირებულ აფხაზეთში ხაჯიმბას გადადგომის მოთხოვნა ისევ გააქტიურდა

4 თინა ბოკუჩავა: „ღიმილის მომგვრელია წლიდან წლამდე რევოლუციურ სცენარზე საუბარი“

3 დაპირისპირება „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ – შოუ, სავარაუდოდ, ეთერში აღარ გავა

5 სახალხო დამცველი არასამთავრობო სექტორის კრიტიკის გამო ხელისუფლებას განცხადებით მიმართავს

„ბიძინა ივანიშვილი ერთ წელიწადში მიდის“

შორენა მარსაგიშვილი

შაქრო ტერტერაშვილი: „ბელადის თავზე რომ რაღაც კარგი არ ხდება, კი იციან „ოცნებაში“, ბოლომდე მაინც არ სჯერათ. ისევ ილუზიების ტყვეობაში არიან, მაგრამ ისეც ვეღარ მხიარულობენ, როგორც წინა წლებში მხიარულობდნენ არჩევნების წინ. არჩევნების მერე მიხვდებიან, რომ საქმე ძალიან ცუდად აქვთ.

დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, თუ ვისი დაწერილი მესიჯებით საუბრობს ბიძინა ივანიშვილი. ერთ-ერთი, ვის მესიჯებსაც ის ითვალისწინებს, ნაციონალური მოძრაობის ახმეტის ფლანგის ლიდერი შაქრო ტერტერაშვილი უნდა იყოს. რამდენიმე კვირით ადრე მან სოციალური ქსელით მიმართა მთავარ მეოცნებეს და ასეთი რამე დაუწერა: „ბატონო ბიძინა, ეს „რუსთავი 2“ რომ არ იყოს, ახლა ხომ ვიცხოვრებდით ცარიელ მაცივრებიან და ორმოებიან სამოთხეში“.

ამ დღეებში ივანიშვილმა შაქრო ტერტერაშვილის სიტყვები თითქმის უცვლელად გაიმეორა. რითაც ახმეტელი ნაციონალი აღფრთოვანებული სულაც არ არის. მას კარგ ხასიათზე ის გარემოება აყენებს, რომ „ოცნება“ მალე დასრულდება.

რა აძლევს ამის თქმის საფუძველს, რომელი პარტიები იყიდა ივანიშვილმა და რისთვის ითხოვა მან ერთწლიანი ვადა? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ **შაქრო ტერტერაშვილი** ესაუბრება.

– ყველამ ვიცოდით, რომ ბიძინა ივანიშვილი ნიცშეს კითხულობდა, მაგრამ მისი ბოლო ნაამბობიდან გამოჩნდა, რომ თქვენ ფეისბუქსტატუსებსაც ეცნობა. ელოდით, რომ თქვენს მოსაზრებასაც გაეცნობოდა და გაიზიარებდა?

– სიმართლე გითხრათ, მაგისგან არაფერი არ მიკვირს. რაზეც მე ვიხუმრე, იმას მაგან სერიოზული სახე მისცა. როცა დაანონსდება, რომ ივანიშვილი უნდა გამოვიდეს ტელევიზიით, წინასწარ შემიძლია გამოცნობა, თუ რაზე გაამახვილებს ეგ კაცი აქცენტებს. მის გამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე „ოცნების“ წევრები გამოდიან და ათას სისულელეს ამბობენ. ეს კაცი კიდე ამ სისულელეების გამაერთიანებელია.

ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარება რომ „რუსთავი 2“-ს დაბრალდებოდა, ეს კარგა ხნით ადრე იყო ნათელი. იმას ხომ არ იტყვიან, რაც ქვეყანაში ცუდი ხდება, ჩვენი ბრალიაო, ყველაფერს ჩვენ, ნაციონალებს და ჟურნალისტებს აბრალებენ.

აწმყოში რომ ცუდადაა საქმე, ჩვენ გვაბრალებს, მომავალზე კიდევ გაუგებარ რაღაცებს ამბობს, გვპირდება ახლა ვიწყებ, რასაც ვიწყებო. ამისთვის რატომღაც ერთი წელი ითხოვა. აქამდე უფრო ხანგრძლივ დროში ჰქონდა გაწერილი თავისი გეგმები. ახლა რაღაც საეჭვოდ შეამცირა ვადები.

– ვადებთან დაკავშირებით მართალი ხართ, აქამდე სულ 2030 წელს იძახდა, ახლა ერთი წელიო. თქვენი აზრით, რა ხდება?

– ისეთი დაპირებებით მოვიდა, ბევრს ეგონა 2030 წლამდე დარჩებოდა ხელისუფლებაში. ქვეყანაში ისეთი მდგომარეობა შექმნეს, რომ ამის ილუზია ყველას გაუქრა და აგერ ისე გაუხდათ საქმე, ხალხს ერთ წელს ეხვეწებიან.

– ყველას გაუქრა ილუზიებიო და ყველაში ივანიშვილსაც გულისხმობთ?

– მაგას პირველს გაუქრა ილუზიები. მაგიტომ ითხოვა, ერთი წელი მაცალეთო.

– ამ ერთ წელში რა უნდა მოასწროს, როცა 6 წლის მანძილზე ბევრი ვერაფერი გააკეთა.

– ეგ არც მაგ ერთ წელშია რამის გამკეთებელი. უბრალოდ ცდილობს, ეს არჩევნები როგორმე გადააგოროს. ეს კაცი არის ჩვეულებრივი „ცირკაჩი“ და მატყუარა. იმდენად მატყუარაა, იძახის, ჩემი ტყუილი სად გაგიგიათო.

სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებო, ხალხს უფასო ელიტური კარტოფილის დარიგებას დაპირდა და მაგაშიც გადააგდო.

– ახმეტელებს დაპირდა ასეთ კარტოფილს?

– მარტო ახმეტელებს არა, სრულიად საქართველოს. თქვა, ელიტური კარტოფილი გავაშენეთ და იმდენი მოგვივიდა, გაისად ყველას უფასოდ დაგირიგებთო. იმის მერე რამდენი წელი გავიდა და ეს კარტოფილი არსად არ ჩანს.

– იქნებ ისიც გვითხრათ, ელიტური კარტოფილი როგორია, ჩვენს მკითხველს ეს ნამდვილად დააინტერესებს.

– ეგ არც მე ვიცი. ეტყობა, კობახიძეებს და მდინარაძეებს ათესინებს და მაგას ეძახის ელიტურ კარტოფილს. ან ის კარტოფილია ელიტური, მაგისი ზებრა რითაც იკვებება.

ასეთი კარტოფილიც კი არ დაურიგა ხალხს და მერე ამბობს, ტყუილი არ ვიციო. ტყუილებიც იცის და ბოლო დროს ძალიან შეშინებული ლაპარაკობს.

– ყოველთვის თავდაჯერებული იყო და ახლა რას უნდა შეეშინებინა?

– ხელისუფლების დაკარგვის შიში აწუხებს. ამ ადამიანმა ბევრი რამე არ იცის, მაგრამ იმაში კარგად ერკვევა, რაც მას სჭირდება. მშვენივრად მოეხსენება, რომ მისი გარემოცვა მედროვე ტიპაჟებისგან შედგება. ეს მედროვეები როგორც კი დაინახავენ, რომ ივანიშვილის, როგორც პოლიტიკოსის დღეები დათვლილია, ლიდერს მიატოვებენ და შეიძლება იქითაც შეუტრიალდნენ. აი, ეს აწუხებს ივანიშვილს და მაგიტომაც ლაპარაკობს შეშინებული.

– მის გარშემო მართლა მედროვეები არიან და ამხელა ოლიგარქმა კაცმა თავის დროზე რატომ დაიყენა ეგენი გვერდით? ვერ ხვდებოდა ვითომ, რომ ერთ დღეს მასაც მიატოვებენ?

– ეს თავიდანვე იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მასაც უღალატებდნენ, მაგრამ სანამ ფეხზე მყარად იდგა, ამის საფრთხე არ იყო. ახლა მისი საქმეები კარგად არ მიდის და მაგიტომ არის შეშინებული. ის უბრალოდ დროს წელავს. არადა მისი, როგორც პოლიტიკოსის საქმე წასულია.

– თუ წასულია მისი საქმე, მის გვერდით რატომ არიან ეს მედროვეები, რატომ არ ტოვებენ ნავს?

– ეგენიც ელოდებიან, რა მოხდება. მერე უპრობლემოდ გადაბარგდებიან სადმე. ჯერ კიდევ იმედოვნებენ, რომ მათი ბელადი კიდევ ერთხელ შეძლებს ხალხის მოტყუებას.

ბელადის თავზე რომ რაღაც კარგი არ ხდება, კი იციან, მაგრამ ბოლომდე მაინც არ სჯერათ. ისევ ილუზიების ტყვეობაში არიან, მაგრამ ისეც ვეღარ მხიარულობენ, როგორც წინა წლებში მხიარულობდნენ არჩევნების წინ. არჩევნების მერე მიხვდებიან, რომ საქმე ძალიან ცუდად აქვთ.

– ხელისუფლებაზე ამბობთ, საქმე ცუდად აქვთო. ოპოზიციას კარგად გაქვთ საქმე? სხვა თუ არაფერი, დაქსაქსულები ხართ და კარგად არც ამ ფლანგზე უნდა იყოს საქმე.

– არანაირი დაქსაქსულობა ოპოზიციაში არაა. იცოდეთ, რომ არის ოპოზიცია და არის ადამიანების ჯგუფი, რომელიც ოპოზიციას ირქმევს და ხელისუფლებისგან იმართება.

მგონი ძალიან ცხადად ჩანს, რომ ოპოზიციად წოდებული პარტიების ნაწილი საჭირო მომენტში ივანიშვილის მაშველი რგოლი უნდა გახდეს. სხვანაირად არც შეიძლება რომ მოხდეს. ისინი მისი ფულებით იკვებებიან.

– თქვენ თქვით, რომ ცხადია, პარტიების ნაწილი ივანიშვილს მაშველ რგოლად მოევლინებაო და რას გულისხმობდით? რამე კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ თუ ეს ვარაუდია?

– ეს ვარაუდი არაა. ვიცით, რომ ვიღაცები ბიძინას ფულებით იკვებებიან. ის კაცი კიდევ იმაში უხდით ფულს, რომ საჭირო დროს მათ საჭირო დახმარება გაუწიონ. რამდენიმე დღეშია არჩევნები და ყველაფერს ნახავთ. გამოვლენ და იტყვიან, ოპოზიციურ კანდიდატს მხარს იმიტომ არ დავუჭერთ, მისი ულვაში ან სახელი და გვარი არ მოგვწონსო.

იცოდეთ, რომ ეს ხალხი ოპოზიციაში იმიტომ არაა, რომ ხელისუფლებას ებრძოლოს. ისინი ოპოზიციაში არიან იმიტომ, რომ ბიძინასგან ფული აიღონ და სანაცვლოდ ოპოზიციური ელექტორატი გამოგლიჯონ რეალურ ოპოზიციას.

– გამოდის, რომ ოპოზიციას ორი მტერი ჰყოლია, ხელისუფლება და ფსევდოპოზიცია.

– ფსევდოოპოზიციას დიდ საფრთხედ არ განვიხილავ. მათ შეიძლება რაღაც საკითხები ჩააქრონ, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითია. მათ იმდენად მაღალი წონა არა აქვთ, რომ რაიმე სერიოზული შედეგი დადონ.

– ბოლო დროს აქტიურად ქვეყნდება წინასაარჩევნო კვლევები. ნაციონალები რომელ კვლევებსაც ასაჯაროებთ, იქ გრიგოლ ვაშაძე ლიდერობს, „ოცნების“ გასაჯაროებულ კვლევებში კი სალომე ზურაბიშვილი იგებს უპირობოდ. ამით ამომრჩევლის დაბნევა ხომ არ ხდება?

– ამომრჩეველი რანაირად უნდა დაიბნეს? ქოცების კვლევას არავინ არ ენდობა და მათ მიმართ უნდობლობა ივანიშვილმა გააჩინა. ახლახან დიდი ამბით გამოაქვეყნეს კვლევა, ფაქტიურად იზეიმეს კიდევაც, სალომე პრეზიდენტია. ორ დღეში ტელევიზორით გამოვიდა მათი მამამთავარი და საპირისპირო თქვა.

– რა თქვა საპირისპირო?

– მაგათ კანდიდატს რომ მართლა 53% უჭერდეს მხარს, ივანიშვილი ტელევიზორში გამოვიდოდა და არტისტობას დაიწყებდა? კაცი პირდაპირ ითხოვდა გუნდის წევრებისგან ხმა მიეცით იმ ქალსო.

მერე ცირკაჩობაც დაიწყო და განაწყენებულებს ეხვეწებოდა, აქამდე თუ რამე არ შევასრულეთ, ერთ წელში შევასრულებთ, ოღონდ ჩვენ მოგვეცით ხმაო. ამათ რომ მართლა ამდენი ხალხი უჭერდეს მხარს, მაგათი ბელადი ბოდიშებს კი არ მოიხდიდა.

– ბოდიშებს მიხეილ სააკაშვილიც იხდის და ნაციონალებსაც გიჭირთ?

– მიშამ იმისთვის მოიხადა ბოდიში, რომ ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა. სააკაშვილმა ახსნა თუ რა მიზეზით მოხდა ეს. 2012 წელს, მაშინდელმა ხელისუფლებამ ხალხს რაღაცები დამაჯერებლად ვერ აუხსნა.

– მაგალითად, რა ვერ აუხსენით ხალხს დამაჯერებლად?

– ხალხს ვერ ავუხსენით, რომ 100 ქარხანა არ აშენდებოდა და არჩევნების დამთავრების მეორე-მესამე დღეს, ზოგი საწყობის გამგედ იმუშავებდა, ზოგი კიდე ცეხის უფროსად.

ასევე ვერ ავუხსენით ხალხს, რომ „ოცნება“ კომუნალურ გადასახადებს ვერ და არ გააიაფებდა. ბარბარე რაფალიანცის მკვლელობაზეც უნდა გაკეთებულიყო მკაფიო განმარტება, მაგრამ აქ გაცილებით ნაკლები დრო გვქონდა. ეს ბავშვი არჩევნების წინა დღეს დაიღუპა.

– და რატომ ვერ შეძელით ხალხისთვის რაღაცების ახსნა, აღარ სჯეროდათ ნაციონალების?

– ამეების ახსნაში ხელი ივანიშვილის იმიჯმა შეგვიშალა. ის დიდ ქველმოქმედად ითვლებოდა. ყველას მართლაც ქველმოქმედი ეგონა, მაგრამ აფერისტი შერჩათ ხელში. ამის გარდა, ეს კაცი თაღლითი და მავნებელიც გამოდგა.

ვინ აღარ გამოიარა ქართველმა ხალხმა სტალინი, ბერია, მჟავანაძე, გუმბარიძე, შევარდნაძე, ჯაბა იოსელიანი, ყველამ რაღაც შეცდომები დაუშვა, მაგრამ საყდრისის აფეთქება არც ერთს არ მოსვლია თავში აზრად. არადა ყველამ იცოდა, რომ საყდრისის ქვეშ ოქრო იყო.

ეს უძველესი ძეგლი საქართველოს ყველა მმართველისთვის მნიშვნელოვანი იყო. ეს მავნებელი მოვიდა თუ არა, საყდრისი ააფეთქა. ისტორიაში, როგორც საყდრისის ამფეთქებელი, ისე შევა.

ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის აფეთქება იმით ახსნა, რომ ეს საქართველოს დიდ შემოსავალს მოუტანსო. ოქროს დიდი შემოსავალი მოაქვს, საყდრისის აფეთქების შემდეგაც ბევრი ფული გაკეთდა ოქროთი, მაგრამ ეს მოგება საქართველოს ბიუჯეტში არ წასულა. ეს მოგება წავიდა ივანიშვილთან.

ახლა ეს კაცი პლანზეა გადართული. გაიძახის, კანაფის კულტივაცია საქართველოს დიდ მოგებას მოუტანსო.

– დამატებით 2 მილიარდს მივიღებთო, ასე გვპირდება.

– კანაფი დიდ შემოსავალს მოიტანს, მაგრამ ეს შემოსავალიც ბიძინასთან წავა. ხელისუფლებაში მყოფები უკვე ამზადებენ ნაკვეთებს პლანის დასათესად. ზოგმა კომშის ხეებიც კი გადარგა, მაგრამ ტყუილად ირჯებიან, ამ ბიზნესს მამამთავარი არავის დაანებებს.

თემურ ალასანია გავრცელებულ ჩანაწერზე — ამათ ან ჩვენ ვგონივართ სრული იმბეცილები, ან ქართველი ხალხი, რომელმაც ეს უნდა უპირობოდ გადაყლაპოს

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ბიძა, თემურ ალასანია გავრცელებულ აუდიოს, რომელშიც თითქოსდა სააკაშვილთან საუბრობს, „სრულ ფაბრიკაციას“ უწოდებს.

როგორც ალასანია სოციალურ ქსელში წერს, „მკვლელობებს საერთოდ არ უკვეთავს და მითუმეტეს, ტელეფონით“.

– ჩემსა და პრეზიდენტს შორის ვითომ შემდგარი სატელეფონო საუბარი, რომელიც სამთავრობო „მხილებების“ ბოლო ჰიტად უნდა იქცეს, წარმოადგენს სრულ ფაბრიკაციას და არ გამოიწვევს არავითარ ვნებათა ღელვას. შემოვიფარგლები მარტო ორი კომენტარით. ამათ ან ჩვენ ვგონივართ სრული იმბეცილები, რომ ასეთ თემებზე ვისაუბროთ, ან ქართველი ხალხი, რომელმაც ეს უნდა უპირობოდ გადაყლაპოს. ეს არც ჩემი საუბრის სტილია, განსაკუთრებით გინება და არც ჩემი ხმა. მკვლელობებს საერთოდ არ ვუკვეთავ და, მითუმეტეს, ტელეფონით და მეორე – ეტყობა ძალიან გაუჭირდათ და დამარცხება მათთვის გარდაუვალია. საიდან ვიცი? იქიდან, რომ ოჯახის წევრებზე ქმნიან კომპრომატს, – წერს თემურ ალასანია.

თავის მხრივ, აღნიშნულ ჩანაწერს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში მცირე კომენტარით გამოეხმაურა.

– ვაი ამ ჭორვილელი აფერისტის პატრონს. მართლა ჰგონია, რომ მსგავსი გაცვეთილი ტყუილებით გააცურებს ხალხს? ხალხმა უკვე გამოუტანა განაჩენი მის ექვსწლიან ტყუილებს, ქურდობებს და სიყალბეებს და ეს განაჩენი 28-ში გამოცხადდება, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

Iმედინეწს.გე-ს ინფორმაციით, უკრაინულ ვებგვერდზე, სავარაუდოდ, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის და მისი ბიძის, თემურ ალასანიას სავარაუდო საუბრის ამსახველი აუდიოჩანაწერი გავრცელდა. აუდიოჩანაწერის მიხედვით, სავარაუდოდ, თემურ ალასანია ამბობს: „ერთ მილიონს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი ვინტოვკით“ მოკლავს ბიძინას“.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

საპატრიარქო აქციებით იმუქრება

მეუფე ილარიონი: „მარიხუანის კულტივაცია განხილულიც არ უნდა იყოს“

შორენა მარსაგიშვილი

მარიხუანით გამდიდრების ხიბლში ჩავარდნილმა ხელისუფლებამ შესაძლოა სანთლების რევოლუცია მიიღოს. საპატრიარქომ მმართველი პარტია კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ ისინი კანაფის კულტივაციას არ დათანხმდებიან.

ამ საკითხთან დაკავშირებით საპატრიარქომ მანამდეც არაერთხელ დააფიქსირა თავისი მკვეთრად უარყოფითი პოზიცია. ამის შემდეგ „ოცნების“ ლიდერები ცოტა ხნით გაყუჩდნენ, მაგრამ ცოტა ხნის წინ ისევ წამოსწიეს ეს თემა.

პარლამენტის სპიკერმა ირაკლი კობახიძემ ერს აუწყა, რომ მარიხუანა სიღარიბეს 2 წელიწადში დაგვამარცხებინებს. კანაფის მიმართ ქება-დიდება არც ივანიშვილმა დააყოვნა.

ამ აღტკინებას საპატრიარქოდანაც მოჰყვა სათანადო გამოხმაურება. სინოდის წევრები გაღიზიანებული არიან და სასულიერო პირები აქციებს აანონსებენ.

– მარიხუანის ლეგალიზაცია და რაც დააკანონეს, კულტივაციაც მიუღებელია, ყოვლად დაუშვებლად და განხილულიც არ უნდა იყოს. ეს არის ჩემი და ეკლესიის პოზიცია, – განაცხადა მესტიისა და სვანეთის მიტროპოლიტმა, მეუფე ილარიონმა.

მარიხუანის კულტივაციას ეწინააღმდეგება მანგლისისა და თეთრიწყაროს მიტროპოლიტიც.

– როგორც მღვდელმთავარი, რა თქმა უნდა, არ ვარ თანახმა და ვეწინააღმდეგები. ჩვენი უწმიდესი პატრიარქი ალბათ ბრძანებს ამის შესახებ რამეს, – თქვა მეუფე ანანიამ.

23 ოქტომბერს პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანიების „იმედის“, „ტვ პირველის“ და „რუსთავი 2“-ის წამყვანებთან ინტერვიუში კანაფის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა. მისი თქმით, ამ კანონპროექტში საუბარი მცენარის კოსმეტიკური და სამედიცინო მიზნით წარმოებაზე იყო და არა ნარკოტიკული საშუალების წარმოებაზე.

მან იქვე განმარტა, რომ ამ კანონპროექტის განხილვაში პარლამენტში შეტანამდე, თავადაც მონაწილეობდა.

– ჩვენ ვნახეთ საზოგადოების რეაქცია... საზოგადოებას და საპატრიარქოს რეაქციას ანგარიში გავუწიეთ და შევაჩერეთ ეს კანონპროექტი.

მისი რენტაბელობა 500%-ზე მეტია. ძალიან დიდი ობიექტური გათვლებია იმისა, რომ მილიარდი დოლარის და უფრო მეტის ექსპორტი განხორციელდეს 1, 2, 3 წელიწადში.

რა თქმა უნდა, შფოთვაზე, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მეტიც, ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი მთავრობას ფაქტობრივად დაემუქრა და კანონპროექტის გაწვევა ურჩია. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ინიციატივის განხილვა საზოგადოებრივ კონსენსუსამდე გადადო, ეკლესია კი ამბობს, რომ ერთადერთი კონსენსუსი ამ ინიციატივის უკან გაწვევაა.

ზოგადოებამ გამოავლინა, გუნდის მხრიდან ადეკვატური რეაქცია ჰქონდა, გაგრძელდება მასზე მსჯელობა, მათ შორის საპატრიარქოსთან და თუ ვნახავთ, რომ ეს ხიფათის შემცველია, გავჩერდებით, – განაცხადა ივანიშვილმა.

* * *

2018 წლის 11 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობა კანაფისგან მედიკამენტების წარმოების და ექსპორტზე გატანის გეგმას იხილავდა. 14 სექტემბერს შსს-მ პარლამენტს კანონპროექტების პაკეტი და მათ შორის კულტივაციის შესახებ კანონპროექტიც წარუდგინა. ინიციატივას, რომელსაც მთავრობა მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს უკავშირებს, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მეტიც, ეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენელი მთავრობას ფაქტობრივად დაემუქრა და კანონპროექტის გაწვევა ურჩია. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ინიციატივის განხილვა საზოგადოებრივ კონსენსუსამდე გადადო, ეკლესია კი ამბობს, რომ ერთადერთი კონსენსუსი ამ ინიციატივის უკან გაწვევაა.

დაპირისპირება „ცეკვავენ ვარსკვლავებში“ — შოუ, სავარაუდოდ, ეთერში აღარ გავა

დრონი.გე – ს ინფორმაციით, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ორშაბათს, სავარაუდოდ, ეთერში არ გავა.

სააგენტო წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ქორეოგრაფებმა პროტესტის ნიშნად „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დატოვეს. პროექტი დატოვა მთავარმა პროდიუსერმაც.

სანდო წყარო დრონი.ჯი-სთან საუბარში ყვება, რომ ქორეოგრაფების წასვლის მიზეზი გოჩა ჩერტკოევთან დაპირისპირება გახდა, რადგან სპეციალურად მოწვეულ ჟიურის ქორეოგრაფების დადგმული ცეკვები არ მოსწონდა.

„დრონი.ჯი“ პროექტის ყოფილი მონაწილის ლალი მოროშკინას განცხადებასაც იხსენებს, რომელმაც პროტესტის ნიშნად დატოვა პროექტი, ლალიმ გადაწყვეტილების ერთ-ერთ მიზეზად სწორედ გოჩასა და ქორეოგრაფებს შორის არსებული დაპირისპირება დაასახელა.

როგორც სააგენტომ გაარკვია, „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ქორეოგრაფმა ტყუპებმა დატოვეს.

დრონი.ჯი ქორეოგრაფ ტყუპებიდან ერთ-ერთს გიორგი ჯიბლაძეს დაუკავშირდა, თუმცა მან სააგენტოსთან გავრცელებული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა.

დრონი.ჯი წყაროზე დაყრდნობით, წერს, რომ პროექტის მთავარი პროდიუსერის ეკატერინე ნაცვლიშვილის წასვლის შემდეგ, შესაძლოა „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ნოე სულაბერიძეს გადააბარონ და ამაზე მიდის მოლაპარაკება.

ზუგდიდი-თბილისის მატარებელი 55 წლის კაცს დაეჯახა

ზუგდიდი-თბილისის მატარებელი სოფელ ცაცხვში 55 წლის მამაკაცს დაეჯახა. დაზარალებული 112-ის ბრიგადამ სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა.

პაციენტს აღენიშნება ქალა-ტვინის ღია ტრავმა, თავის ტვინის დაჟეჟილობა, ტრავმული სუბარაქნოიდული და სუბდურული ჰემატომა, გულ-მკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლით დაიწყო.

მიხეილ ბენიძე: „საჯარო სამსახურებში დასაქმებულებს 10-15 მხარდამჭერის მობილიზებას ავალებენ, გვაქვს მოსყიდვის ფაქტებიც“

რა დარღვევები გამოიკვეთა წინასაარჩევნო კამპანიის დროს

იავო ნაცვლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების კამპანია დასასრულს უახლოვდება. რა სურათი, ტენდენცია იკვეთება ამ თვალსაზრისით, ამ თემაზე „ახალი თაობა“ არასამთავრობო ორგანიზაციის „სამართლიანი არჩევნების“ ხელმძღვანელს **მიხეილ ბენიძეს** ესაუბრა:

– საარჩევნო კამპანია მიიწურა, რა სურათი და რა ტენდენცია იკვეთება?

– დღეს ჩვენ გვქონდა მესამე შუალედური ანგარიშის პრეზენტაცია. ეს აფასებს დასკვნით ეტაპს. თუ შევხედავთ ვითარებას, დავინახავთ, რომ ამ ბოლო პერიოდში, როგორც კი დასკვნით ფაზაში შევიდა, კამპანია ძალიან პოლარიზებული გახდა. წინა პერიოდებთან მოახლოებასთან ერთად დავინახეთ რიგი ისეთი დარღვევების ტენდენცია, რომელიც საფრთხეს უქმნის თავისუფალ საარჩევნო კამპანიას.

– რას გულისხმობთ?

– პირველი ტენდენცია, რაც იკვეთება, ეს არის არასამთავრობო ორგანიზაციებზე თავდასხმა ხელისუფლების მხრიდან. ამ თავდასხმებს აქვს კოორდინირებული სახე, მათ შორის პერსონალიზებული სახეც აქვს და მიემართება ძირითადად სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ. ეს გვაფიქრებინებს, რომ საარჩევნო კონტექსტში ეს არის სადამკვირვებლო ორგანიზების დისკრედიტაციის მცდელობა. ეს არის უპრეცედენტო და აქამდე არსებულ თავდასხმებს შორის ყველაზე უფრო ფართომასშტაბიანი და კოორდინირებულია.

ჩვენ ასევე დავინახეთ ინტენსიური ფეისბუქ-კამპანია დასპონსორებული კონტენტის მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების დისკრედიტაციის მიზნით. ეს ყველაფერი პრაქტიკულად ყოველდღიურად ხდება.

– თქვენი შეფასებით, ეს თავდასხმები რას ემსახურება?

– ეს ემსახურება 2 მიზანს. ერთი, ეს არის პრევენციული დარტყმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებზე. ალბათ არის მცდელობა, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციების სრული დისკრედიტაცია მოახდინონ და მეორე, რეალური პრობლემების თემებიდან ყურადღება გადაიტანონ სხვა საკითხებზე.

– ანუ, დროებითი პრევენციაა, რომ საზოგადოებამ არ მიიღოს ის კრიტიკული დასკვნები, რომელიც შესაძლოა გამოაქვეყნოთ?

– არ ვიცი. მაგრამ, ფაქტია, რომ ეს არის ერთ-ერთი ახალი მიგნება ხელისუფლების მხრიდან. რაც საარჩევნო პერიოდებში არ გვხვდებოდა ხოლმე. ვგულისხმობ წინა არჩევნებს.

ამას გარდა ვსაუბრობთ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას და სხვა ფაქტებს, რაც გვხვდება. კონკრეტულად საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანების მიმართ არის მოთხოვნა სალომე ზურაბიშვილისათვის მხარდამჭერების შეგროვებაზე. მცდელობაა, რომ ამ ადამიანებმა მობილიზება გაუკეთონ სწორედ ზურაბიშვილის მხარდამჭერებს. სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან ჩვენი ამომრჩევლები იღებენ ინფორმაციას ფაქტების შესახებ. გვთხოვენ 10-15 მხარდამჭერის მოგროვებას და სპეციალურ სიებს ავსებინებენ, სადაც შედის პერსონალური მონაცემები, პირადი ნომერი...

ეს, ერთი მხრივ, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაა, ხოლო მეორე მხრივ, დაქვემდებარებული პირების ჩართვა სააგიტაციო კამპანიაში და ამასთანავე შეიცავს ზეწოლის ნიშნებს. არ არის პოზიტიური საარჩევნო გარემოს შესაბამისი. არიან ადამიანები, რომლებსაც ავალებენ ასეთი სიების შედგენას, თუმცა მათ ძალიან ეშინიათ საკუთარი ვინაობის გაჟღერების. ფიქრობენ, რომ ასეთ შემთხვევაში დაკარგავენ სამსახურს. ეს არის ძალიან პრობლემური.

არის ზეწოლის სხვა ფაქტების შესახებაც ცნობილი. მათ შორის სხვადასხვა პირებს ემუქრებოდნენ სოციალური დახმარების მოხსნით.

– ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვაზეც ხომ არ გაქვთ ინფორმაცია?

– ამაზეც გვაქვს რამდენიმე ფაქტი. იყო როგორც ხელისუფლების მხრიდან, ასევე ოპოზიციური კანდიდატების მხრიდანაც. მაგალითად, ქუთაისში იყო კახა კუკავას შტაბის მხრიდან.

კამპანიური ღონისძიებების ხელის შეშლის ფაქტებიც მრავლად არის. ძირითადად ხელს უშლიან სალომე ზურაბიშვილს. ასეთი ტენდენცია მიიღო ამ კამპანიამ. აქციებითა და შეურაცხმყოფელი შეძახილებით ცდილობენ მისთვის ხელის შეშლას.

ოპოზიციური კანდიდატების, მაგალითად, გრიგოლ ვაშაძის წინააღმდეგაც ვნახეთ ასეთი ფაქტები. ეს პრობლემურია, რადგან კონტრაქციების მობილიზება ფიზიკური დაპირისპირების საფრთხეს ზრდის. იყო რამდენიმე ფაქტი, როდესაც მსგავსი შემთხვევებისას ვითარება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

კიდევ ერთი საკითხი არის ის, რომ სააგიტაციო მასალების დაზიანება ხდება და ამას მასშტაბური სახე ჰქონდა 16-17 ოქტომბერს. გრიგოლ ვაშაძის პლაკატები დაზიანდა ერთი და იგივე ხელწერით.

– შეგიძლიათ თქვათ, რომ საარჩევნო პროცესი ოდნავ უფრო მაინც გაიზარდა და პროგრამული და საგნობრივი დისკუსია მიმდინარეობს კანდიდატებს შორის, ან არის თუ არა ეს პრობლემა?

– ამ არჩევნებზე გამიჭირდება ამის თქმა. პროგრამული და საგნობრივი დისკუსია ამ არჩევნებზე არ ყოფილა და იყო უფრო პერსონალური თავდასხმები და ასეთი რიტორიკა. ზოგადად პროგრამული შეჯიბრებითობა ნელ-ნელა იზრდება. წინა არჩევნებზე ვნახეთ, რომ უფრო იყო გაზრდილი ასეთი მსჯელობა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია სათანადო დონემდე. არ არის საკმარისი საგნობრივი დისკუსია. უფრო ემოციურ და პერსონალურ თავდასხმებზეა ფოკუსირება გაკეთებული.

ამ არჩევნებზე ერთი, რაც შეიძლება ითქვას, რომ ეს არის საკმაოდ კონკურენტული. ასეთი ინტენსიური საარჩევნო კამპანია, მათ შორის დაძაბულობის მხრივაც, 2012 წლის შემდეგ არ ყოფილა. ეს არის ერთ-ერთი ტენდენცია და ამას აქვს დადებითი მხარეც. კონკურენცია უფრო ინტენსიურია, მაგრამ ამას თან ახლავს დაძაბული ფონიც. ამ ფონის მატება პოზიტიურად, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლება.

– შეიძლება თუ არა ვუწოდოთ ამ საარჩევნო კამპანიას ერთგვარი ფარული ჩანაწერების ომი? შეიძლება ასეთი შეფასების გაკეთება?

– ჩანაწერების ტაქტიკა არჩევნებზე ახალი არ არის. სამწუხაროდ, არა მხოლოდ ამ არჩევნებზე, არამედ ბოლო პერიოდში საქართველოში გამართულ ყველა არჩევნებს თან ახლავს ჩანაწერების სკანდალი და ამას ვხედავთ ამ არჩევნებზეც. ეს საქართველოში არჩევნების თანმდევი ელემენტი გახდა.

სოსო ცინცაძე: „საპრეზიდენტო არჩევნები ახალ პოლიტიკურ რეალობას შექმნის“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე რა გავლენას იქონიებს 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგები?

– ეს პირდაპირ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ საპრეზიდენტო არჩევნებში. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც არ ექნება.

თუ ოპოზიციის წარმომადგენელი გახდება პრეზიდენტი, მაშინ ის შეეცდება, კიდევ უფრო გაურთულოს მმართველ პარტიას ცხოვრება.

– გიორგი მარგველაშვილზე უფრო მეტად?

– გიორგი მარგველაშვილი მოენატრება „ქართულ ოცნებას“, ისეთი რეალობის წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ. ამიტომ ყველაფერს გააკეთებენ, რომ ეს არ დაუშვან. ოპოზიციონერი პრეზიდენტი ეცდება, მმართველი ძალის ყველა შეცდომა და ნაკლი სააშკარაოზე გამოიტანოს, თუ ამას აკმარებს.

თუ სალომე ზურაბიშვილი გახდება პრეზიდენტი, მაშინ იქნება ყველაფრის მიჩუმათებისა და ყველაფრის თაროზე შემოდების მცდელობა. თუმცა, ამის საშუალებას მას ოპოზიცია და ჟურნალისტები არ მისცემენ, რაც წინაპირობაა იმის, რომ კიდევ უფრო აირიოს მონასტერი.

ჩვენ ახლა ისეთ პოლიტიკურ ფაზაში შევდივართ, რომელიც სულ სხვა რეალობის წინაშე დააყენებს მთელ ქვეყანას.

– რას გულისხმობთ?

– საქართველოში ორი ვადით მოდის ყველა ხელისუფლება. მესამე ვადით ხელისუფლებაში მოსვლა ჯერ არ მომხდარა. დღეს, „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი არ არის იმ მდგომარეობაში, რომ ეს პრეცედენტი მოახდინოს. აქ მე მაინც მთავარ ყურადღებას ივანიშვილზე გავამახვილებდი.

ივანიშვილის ბოლო ინტერვიუმ მკვეთრად აჩვენა, რომ ის ვერ არის ფორმაში. ეს ძალიან ბევრს უნდა ნიშნავდეს მისი გუნდისთვის.

– გამოდის, არც „ქართული ოცნება“ არის სახარბიელო მდგომარეობაში?

– რასაკვირველია.

– რამდენად უშვებთ, რომ მომავალი არჩევნები კოალიციური მთავრობის დაკომპლექტების შანსი იყოს?

– მე მაინც მგონია, რომ გამოსავალი მაინც რეალურ კოალიციურ მთავრობაშია. მე ვგულისხმობ კოალიციურ მთავრობაში ოპოზიციის შესვლას, რეალური ოპოზიციის.

– ამას უშვებთ?

– ჩემამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ შემდეგი მთავრობა კოალიციური იქნება და ეს ბიძინა ივანიშვილს გადაწყვეტილი აქვს. თუმცა, მე არ ვუშვებ იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, უშიშროება თუ უსაფრთხოების სამსახურები, ფინანსთა სამინისტრო ივანიშვილმა ოპოზიციას ჩააბაროს. თუ დასუფთავების სამინისტროს შექმნიან და მას ოპოზიციას ჩააბარებენ, ეს დიდ გარღვევას ვერ მოახდენს. ამიტომ ვამბობ, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რა ტიპის კოალიციაზე იქნება საუბარი და ვინ იქნებიან წარმოდგენილი იმ კოალიციაში.

– ოპოზიცია მიიღებს ამ შეთავაზებას?

– ესეც არის საინტერესო. რამდენად არის ამ პასუხისმგებლობისთვის მზად ოპოზიცია?! მე არ მგონია, რომ დასუფთავების მსგავს მინისტრობას რომელიმე ოპოზიციონერი დათანხმდეს. ასევე არ მგონია, რომ პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო „ქართულმა ოცნებამ“ დათმოს. ამიტომ, მე არ გამოვრიცხავ, რომ ძალიან საინტერესო პროცესები წავიდეს.

არც ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტია არ არის დღეს ისეთი ძლიერი, რომ საკვანძო პოლიტიკური სამინისტრო მოითხოვოს. თუმცა, 28 ოქტომბრის არჩევნებზე მეორე ტური თუ იქნება, მაშინ კიდევ შეიძლება, ანგარიშის გაწევაზე იყოს საუბარი.

თუ პირველივე ტურში დასრულდება ყველაფერი იმ შედეგებით, რასაც მამუკა მდინარაძე აცნობს ხალხს, მაშინ დასუფთავების სამინისტროს გადმოუგდებენ ოპოზიციას და ეს იქნება საჩუქარი, რომ ისინი ქუჩაში არ გამოვიდნენ და ბევრი აყალ-მაყალი არ ატეხონ. ხომ იცით, რომ ნაჩუქარ ცხენს კბილი არ ესინჯება.

– ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ერთ წელიწადში ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა. თქვენ როგორ გაიგეთ, რას გულისხმობდა?

– რთული სათქმელია. მე მაინც მგონია, რომ ის რაღაცის შეცვლას აპირებს, მაგრამ რის შეცვლას, ამის თქმა მიჭირს. ასევე მიჭირს იმის თქმა, რამდენად შეძლებს ის ამას ამ გადმოსახედიდან, ეს ძალიან რთული სათქმელია.

– შეიძლება ეს ერთგვარი მინიშნება იყო გუნდის ცვლილებაზეც?

– ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევაო. არ ვიცი, გამოვა და იტყვის, რომ გუნდის ნაწილი მისთვის მიუღებელია?! რომ მის გუნდში ყოფილი ნაციონალები არიან?! მე მხოლოდ პარტიას არ ვგულისხმობ.

შეიძლება 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებმა ბევრი არაფერი შეცვალოს და თვისობრივად ვერც შეცვლის, მაგრამ ახალ პოლიტიკურ პროცესებს აუცილებლად მისცემს ბიძგს.

– ვინც არ უნდა გაიმარჯვოს?

– დიახ, ვინც არ უნდა გაიმარჯვოს. თუ ოპოზიციის წარმომადგენელი იქნება გამარჯვებული, მაშინ პროცესები ბევრად უფრო ფორსირებულად წავა.

„კოალიციური მთავრობის შექმნა აუცილებელია“

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა სახლის“ ხელმძღვანელ **მამუკა ტუსკაძეს** ბიძინა ივანიშვილთან კითხვები აქვს, რომელსაც ის „ახალი თაობის“ მეშვეობით სვამს.

– ბატონო მამუკა, როგორ შეაფასებთ პარტია „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილის ჟურნალისტებთან შეხვედრის დროს გაკეთებულ განცხადებას არასამთავრობო ორგანიზაციებთან დაკავშირებით? თქვენც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ხართ.

– ბიძინა ივანიშვილის მიმართვა საზოგადოებისადმი დროული და აუცილებელი იყო. ის მმართველი პარტიის თავმჯდომარეა და რაიმე სახის განცხადება არ გაუკეთებია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში ბევრი რამ მოხდა და კითხვები არსებობს, რომელზეც პასუხი არ არის გაცემული.

– ჩანაწერებს გულისხმობთ?

– მათ შორის, ვგულისხმობ ჩანაწერებს, არაფორმალურ მმართველობაზე კითხვებს, არასამთავრობო სექტორის მდგომარეობაზე და სხვა საკითხებს. ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა. იმედი მაქვს, ბიძინა ივანიშვილი მედიის საშუალებებს და იმ პასუხგაუცემელ კითხვებს პასუხს გასცემს. „რუსთავი-2-ის“ ჟურნალისტმა შეხვედრა სხვა ფორმატში გადაიყვანა, დიდი დრო დაიკარგა რაღაც უსაგნო კინკლაობაში და ყველა კითხვაზე პასუხი ვერ მოესწრო.

– თქვენ, როგორც არასამთავრობო, რამენაირ წნეხს ხომ არ განიცდით ხელისუფლებისაგან? ზოგიერთი არასამთავრობო ამბობს, რომ ხელისუფლება მათზე ზეწოლას ახდენს.

– 5 წელია ჩვენი ორგანიზაცია არსებობს. არანაირ წნეხს არ განვიცდით, მაგრამ მინდა აღვნიშნო მცირედი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ.

– რას გულისხმობთ?

– საერთოდ, ქვეყნის ბიუჯეტში, პრაქტიკულად, არაფერია გათვალისწინებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერისთვის. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერის პროგრამა უნდა არსებობდეს.

– მე მგონი, შიდა ბიუჯეტით, არასამთავრობოები სახელმწიფოს არც ერთი ხელისუფლების დროს გრანტებით არ დაუფინანსებია.

– დიახ, ასეთი რამ არ ყოფილა. არჩევნების დროს ცესკო არასამთავრობოებს ძალიან მიზერულ თანხებს აძლევს მონიტორინგისა და პროპაგანდისთვის. 10-12 არასამთავრობო იგებს გრანტს, რაც არის ძალიან მცირე თანხები. მათ შორის ჩვენს არასამთავრობოსაც აქვს მოგებული.

– თქვენ რა კითხვა გექნებოდათ ბიძინა ივანიშვილთან და კიდევ რას მიაქციეთ ყურადღება მის საუბარში?

– ბიძინა ივანიშვილთან უამრავი კითხვა მექნებოდა. კერძოდ: კოაბიტაცია რატომ არ დასრულდა? როდის დასრულდება კოაბიტაცია? საერთოდ, დასრულდება თუ არა კოაბიტაცია? დანაშაულებრივი რეჟიმი გასამართლდება თუ არა?

– ოცნება და ნაცები ისე არიან დაპირისპირებულები, რომ მგონი, კოაბიტაცია დასრულებულია.

– არა, „ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის კოაბიტაცია ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე კითხვა მაქვს იმაზე, 3 მილიონი ადამიანის სოციალურ უზრუნველყოფას რა რესურსი სჭირდება და როდის განახორციელებს პირადად ბიძინა ივანიშვილი, რომ საქართველოს მოქალაქეს მინიმალური შემოსავალი და მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდეს? მით უმეტეს, რომ იმ 3 მილიონი ადამიანიდან დაახლოებით მილიონი ამას თავისით ახერხებს.

მაინტერესებს ასევე, 2020 წლისთვის, როდესაც უკვე მისი ხელისუფლებაში მოსვლიდან 8 წელი იქნება გასული, ხელისუფლების შენარჩუნებას დააპირებს თუ ახალ ძალებს მისცემს საშუალებას, მიიღონ მონაწილეობა და მათი პროგრამები წარმოადგინონ.

– როგორ ფიქრობთ, სანამ ნაცმოძრაობა იქნება პოლიტიკურ ველზე, ბიძინა ივანიშვილი არ შეეცდება მისმა პარტიამ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა? ალბათ, პარტიის სრულ გადახალისებას მოახდენს.

– აქ საუბარია არა მხოლოდ პიროვნებების შეცვლაზე. ძალიან რთული იქნება, „ქართულმა ოცნებამ“ 2020 წელს უმრავლესობა მოიპოვოს, მით უმეტეს, საკონსტიტუციო უმრავლესობა შეინარჩუნოს. ვფიქრობ „ოცნებამ“ კოალიციური მთავრობა უნდა შექმნას, მაგრამ არა ნაციონალებთან, ან „ოცნების“ სხვა სუბიექტებთან ერთად, არამედ პირადად ბიძინა ივანიშვილმა სრულიად ახალ სახეებთან ერთად და გარკვეულ პარტიებთან ერთად კოალიციური მთავრობის შექმნა უნდა შეძლოს. ქვეყანა საპარლამენტო მმართველობის მოდელზეა გადასული, ამიტომ კოალიციური მთავრობის ფორმირება გამოსავალი იქნება ჩვენი ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური სირთულეების დასაძლევად. ის პირადად ბიძინა ივანიშვილს ხელეწიფება.

თამარ ჩუგოშვილი სააკაშვილისა და ალასანიას სავარაუდო აუდიოჩანაწერზე — ეს არის სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება მიხედავს ყველაფერს

ეს ხალხი ყველაფერზე წამსვლელია იმისთვის, რომ ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება და მკადრებელნი არიან ყველაფრის, თუმცა, საქართველოში დესტაბილიზაციას და ქაოსს მომავალი არ აქვს, – ასე აფასებს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი თამარ ჩუგოშვილი უკრაინულ საიტზე გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერებს.

ჩუგოშვილის განცხადებით, გამოქვეყნებულ აუდიო-ჩანაწერში შინაარსობრივად ახალი არაფერია, ვინაიდან საზოგადოებამ კარგად იცის, მასში მონაწილეზე პირების დამოკიდებულება საქართველოს და მისი მოქალაქეების მიმართ. რაც შეეხება სამართლებრივ ნაწილს, ჩუგოშვილი იმედოვნებს, რომ აღნიშნულს შესაბამისი ორგანოები გამოიძიებენ.

– ახალი არაფერი მოგვისმენია, ეს ხალხი ყველაფერზე წამსვლელია იმისთვის, რომ ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება და ისინი მკადრებელნი არიან ყველაფრის. მათი დამოკიდებულებაც ხალხისადმი ყველამ კარგად იცის საქართველოში, მაგრამ საქართველოში დესტაბილიზაციას და ქაოსს მომავალი არ აქვს. ამ ყველაფერს ისინი ვერ შეძლებენ და საზოგადოება მათ პასუხს გასცემს არჩევნების გზით. დანარჩენი ეს არის სისხლის სამართლის საქმე და გამოძიება მიხედავს ყველაფერს, – განაცხადა თამარ ჩუგოშვილმა.

თინა ბოკუჩავა: „ღიმილის მომგვრელია წლიდან წლამდე რევოლუციურ სცენარზე საუბარი“

– ღიმილის მომგვრელიც კი არის წლიდან წლამდე ამ რევოლუციურ სცენარზე საუბარი, – ასე გამოეხმაურა „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი თინა ბოკუჩავა გავრცელებულ ფარულ აუდიო-ჩანაწერს, რომელშიც თითქოსდა მიხეილ სააკაშვილი და მისი ბიძა, თემურ ალასანია ფიგურირებენ.

ბოკუჩავას თქმით, სავარაუდოდ, აღნიშნული ჩანაწერის გავრცელებით ბიძინა ივანიშვილი ცდილობს იმ ფარული ჩანაწერების გადაფარვას, რომელიც ბოლო პერიოდში გავრცელდა.

– ივანიშვილის რეაქცია იმ ჩანაწერებზე, რომელთა ავთენტურობასაც თავად პროკურატურა არ უარყოფს, მათი პასუხი არის ახალი ჩანაწერების შეთხზვა. ჩვენ ვნახეთ მაგალითად როგორ დადგეს და შეიყვანეს კანონსაწინააღმდეგოდ პარლამენტის წევრი ციხეში, რათა კონტრკადრები გაევრცელებინათ და გადაეფარათ ქმედებები, რაზეც იყო საუბარი სუბელიანის ჩანაწერში. ეს ძალიან ჩვეული პრაქტიკაა „ქართული ოცნების“ მხრიდან. ჩვენ გვახსოვს ჰაკიმ ფაშა, გვახსოვს ჩოკუტაევი, გვახსოვს არაერთხელ ასეთი ტიპის ვითომ ჩანაწერები, რომელთა ავთენტურობა არასოდეს დასტურდება და გამოიყენება ორი მიზნით, რომ ან გადაიფაროს მთავრობის კრახი, ან ივანიშვილის სურვილით გავლენა მოახდინოს ამომრჩევლის ნებაზე. ამ შემთხვევაში ივანიშვილს არანაირი ფაბრიკაცია და ჩანაწერი არ უშველის, რადგან კანდიდატი, რომელიც მან შესთავაზა ქართველ ხალხს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის არის მიუღებელი, – განაცხადა ბოკუჩავამ.

მისივე თქმით, გავრცელებული ჩანაწერი არის ფაბრიკაცია.

– ღიმილის მომგვრელიც კი არის წლიდან წლამდე ამ რევოლუციურ სცენარზე საუბარი, ზუსტად ისე, როგორც იყო მაგალითად, ჭიკაიძე აკეთებდა განცხადებებს იმასთან დაკავშირებით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები საბურავებს ინახავდნენ სარდაფებში. ეს არის მცდელობა, რომ ივანიშვილმა გადაფაროს ის ჩანაწერები, რომლის ავთენტურობასაც თავად პროკურატურა არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ და მეორე მხრივ, მობილიზება მოახდინოს ამომრჩევლის, რათა გავლენა მოახდინოს მათ ცნობიერებაზე, – აღნიშნა დეპუტატმა.

დემურ გიორხელიძე: „ლარის რეალური ღირებულება 4-მდე აღწევს“

„მოდით, 1 დოლარი იყოს 50 თეთრი. ამით რა გამოვიდოდა? ჩვენი ეკონომიკა მთლიანად გაჩერდებოდა და აზრს დაკარგავდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** პასუხობს.

– ბატონო დემურ, ექსპერტთა დიდი ნაწილი ტყუილს უწოდებს ბიძინა ივანიშვილის განცხადებას, რომ ჩვენ ლიდერი ვართ რეგიონში ეკონომიკის ზრდის თვალსაზრისით. რას იტყვით თქვენ?

– არსებობს სტატისტიკა, რომელიც ასე სანუგეშო არ არის. ის ზრდა, რომელიც არის, უმნიშვნელოა იმ მცირე მოცულობის ეკონომიკისთვის, როგორიც საქართველოშია. როდესაც 14 მილიარდი დოლარია ეკონომიკა, მისთვის 4,5 და 5%-იანი ზრდა უპერსპექტივო საქმეა. მიგრაცია არ წყდება, შემოსავლები დაბალია და სამუშაო ადგილები ჯერ კიდევ ძალიან მცირეა.

მცირე და საშუალო ბიზნესი მძიმე მდგომარეობაშია. ფინანსები კვლავ რჩება ხელმიუწვდომლად. ეკონომიკა არ ვითარდება, როცა ფინანსური სექტორი მონოპოლიზებული სექტორი გახდა. 2 ბანკის წილი 82%-ს შეადგენს საბანკო სექტორში, რაც გამორიცხავს ფინანსების ხელმისაწვდომობას.

– პრობლემად მიაჩნიათ საგარეო ვალი, რომელიც სულ იზრდება. რამდენად სერიოზული პრობლემაა?

– ნორმალური ქვეყნებისთვის ეს პრობლემა არ არის, მთელი ცივილიზებული ქვეყნები ვალს იღებენ, მაგრამ გააჩნია, როგორია შენი ეკონომიკა, როგორია ვალის ზრდის ტემპები, როგორია ეკონომიკის ზრდის ტემპები.

საქართველოში პრობლემა არის დღეს არა ვალის მოცულობა, არამედ ვალის სწრაფი ზრდა, რომელიც შეუსაბამოა ეკონომიკის ზრდის ტემპებთან. ამ ტემპებით ეკონომიკა თუ განვითარდება და ამ ტემპებით ვალის ზრდა გაგრძელდება, ჩვენს ბიუჯეტს მალე ძალიან დიდი სავალო მომსახურების წნეხი დააწვება, რაც მოაკლდება სხვა მნიშვნელოვან სექტორებს.

– ბიძინა ივანიშვილმა ყურადღება გაამახვილა მარიხუანის კულტივაციაზე, ამ ბიზნესით ქვეყანა 2 მილიარდ დოლარს მიიღებდა წელიწადშიო. რამდენად სწორია ეს შეხედულებები?

– აქცენტები სწორად უნდა დავსვათ. ცივილიზებულ ქვეყანას შეუძლია სამედიცინო ან კოსმეტიკური მიზნებისთვის ეს გააკეთოს, მაგრამ ასეთ მოუწყობელ და დაულაგებელ ქვეყანაში, როდესაც ასეთი რესურსი ჩნდება, ამაზე ლიცენზიას გასცემს ხელისუფლება და ხელისუფლებასთან დაახლოებული კლანი მიიღებს ამ ლიცენზიას. ეს ფულიც ირიბად გაკონტროლდება ხელისუფლების მიერ. ამაშია ტრაგედია!

გეტყვით მაგალითს – ნიგერიაში ნავთობი გაყიდეს 400 მილიარდი დოლარის, 104 მილიონიანი ქვეყანა სიღარიბეში იხრჩობა, ვიწრო წრე კი არის ძალიან კარგად. ასევეა დამღუპველი საქართველოსთვის მარიხუანას ბიზნესი, ნავთობის ბიზნესი. ღმერთმა ნუ ქნას, აქ ნავთობი და გაზი აღმოჩნდეს, თორემ ქვეყანა დაიღუპება.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ისეთი მძლავრი სახელისუფლო კლანი დააჯდება ამას, რომ ეს ქვეყანას დათრგუნავს. ამიტომ არის ეს საშიში. მარიხუანას მოყვანა კი არ არის საშიში, მარიხუანას მოყვანა გააჩენს ხელისუფლებასთან ასოცირებულ კლანს, რომელიც ამ რესურსს დააჯდება და აქ ეკონომიკის განვითარებაზე არ შეიძლება იყოს საუბარი! ქვეყანა სხვა მიმართულებით უნდა განვითარდეს.

– კერძოდ?

– ეს არის ის, რაც ყველაზე ძვირფასი რესურსია, ადამიანური რესურსი, ინოვაციები, ეკონომიკის გადაყვანა სხვა რელსებზე და არა ამ პრიმიტიულ რელსებზე და არა ამ პრიმიტიულ რელსებზე დატოვება.

მე იმ თაობას მივეკუთვნები, რომელიც დაახრჩვეს ნარკოტიკებში. ამიტომ ეს საზიზღრობა რა არის, ძალიან კარგად ვიცი! დასავლურ ორიენტაციას და ვითომ ადამიანის უფლებებს ამოფარებული უბადრუკი ადამიანების ჟივილ-ხივილი მარიხუანას ლეგალიზაციაზე და ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე, არის საცოდავი ქვეყნის, საცოდავი ხალხის საქციელი!

– ბატონო დემურ, ლარი გასცდა 2,7-ის ნიშნულს. ყოველდღიურად ძვირდება საწვავი. ამ ფონზე ძვირდება ყველაფერი. რა გველოდება?

– მე თავის დროზე მაქვს გაცხადებული, რომ ლარი ძალიან გადაფასებულია. მისი რეალური ღირებულება დაახლოებით 4 ლარამდეა. მე ვფიქრობ, რომ ეროვნული ბანკი ხელოვნურად ცდილობს, რომ 3 ლარი გახადოს 1 დოლარის ღირებულება. 3-დან 4 ლარამდე რეალური ფასია, მაგრამ არა ამ სიტუაციაში. ეკონომიკის და ექსპორტის განვითარებამ ავტომატურად უნდა გამოიწვიოს გონივრულად ლარის კურსის შერბილება. ხომ გეუბნებით, სწორი კურსი დღევანდელი დაანგარიშებებით, სადღაც 4 ლარია 1 დოლარი.

– რას ბრძანებთ?

– ასეა. თუმცა ამას ეკონომიკური პროცესები სჭირდება და არა – ხელოვნურად მისი 3 ან 4 ლარამდე მიყვანა. ის კურსი, რომელიც აქამდე იყო, აბსოლუტურად უპერსპექტივო იყო, ასე ქვეყანა ვერანაირ ეკონომიკას ვერ განავითარებდა. ჩვენ ასე შეგვეძლო სასაცილო მდგომარეობაში ჩაგვეგდო თავი. მოდით, 1 დოლარი იყოს 50 თეთრი. ამით რა გამოვიდოდა? ჩვენი ეკონომიკა მთლიანად გაჩერდებოდა და აზრს დაკარგავდა. არსებობს მექანიზმები, ყველაფერი ექვემდებარება სერიოზულ მაკროეკონომიკურ გათვლებსა და პოლიტიკას. უბრალოდ, მე ამ ყველაფერს კომპლექსში ვერ ვხედავ და ამიტომ საერთოდ არ მესმის, რას აკეთებს ეროვნული ბანკი.

– ანუ არის იმის პერსპექტივა, რომ 1 დოლარი 3-4 ლარამდე ავიდეს?

– ისე გამოდის, რომ ეს ტენდენცია გაგრძელდება. მე არ ვიცი, სად გააჩერებენ ამ კურსს, მაგრამ ახლა რომ ლარი უფასურდება, ამას სერიოზული შიდა პრობლემები აქვს და არა გარე პრობლემები.

სახალხო დამცველი არასამთავრობო სექტორის კრიტიკის გამო ხელისუფლებას განცხადებით მიმართავს

სახალხო დამცველი სახელმწიფო თანამდებობის პირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებით საერთაშორისო დემოკრატიული სტანდარტების დაცვისკენ მოუწოდებს.

როგორც ომბუდსმენის განცხადებაშია ნათქვამი, „ბოლო პერიოდში ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან გაკეთდა არაერთი განცხადება, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხების, კორუფციის პრევენციის, ადამიანის უფლებების დაცვის, სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის და არჩევნების მონიტორინგის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი პირების დისკრედიტაციას“.

– საქართველოს სახალხო დამცველს სურს შეახსენოს ხელისუფლებას ის საერთაშორისო ვალდებულებები, რასაც გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს უწესებენ ადამიანის უფლებების დამცველების საქმიანობის ხელშესაწყობად.

გაეროს 1998 წლის დეკლარაცია ადამიანის უფლებათა დამცველების თაობაზე აღიარებს ორგანიზაციებისა და ინდივიდების უფლებას, სახელმწიფო უწყებების წინაშე მწვავედ და კრიტიკულად დააყენონ საკითხები, რაც ხელს უშლის ადამიანის უფლებების რეალიზაციას და გააპროტესტონ ამ თვალსაზრისით სახელმწიფოს პოლიტიკა. სახელმწიფოს კი უწესებს ვალდებულებას, დაიცვან ინდივიდები ნებისმიერი ზეწოლის, მტრული განწყობებისა და დისკრიმინაციისგან მათი დეკლარაციით აღიარებული საქმიანობის გამო.

უფლებადამცველების შესახებ სახელმძღვანელო პრინციპებით, ეუთო ხაზგასმით მიუთითებს სახელმწიფო ინსტიტუტებს და თანამდებობის პირებს, თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებებისაგან, რომელიც ადამიანის უფლებათა დამცველებზე პიროვნული თავდასხმების, ცილისმწამებლური, შეურაცხყოფელი კამპანიების და მათი საქმიანობის დისკრედიტაციისაკენ არის მიმართული. ეუთო მოუწოდებს სახელმწიფო ინსტიტუტების წარმომადგენლებს, არა თუ თავად მოახდინონ რაიმე სახის ზეწოლა ადამიანის უფლებათა დამცველებზე, არამედ გადადგან პროაქტიული ნაბიჯები უფლებადამცველების სტიგმატიზების წინააღმდეგ; აღიარონ ასეთი ორგანიზაციების და პირების მნიშვნელობა დემოკრატიული სახელმწიფოსთვის და შესაბამისად, გააძლიერონ მათი ლეგიტიმაცია.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების მიუხედავად, ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას ადარებდნენ ფაშისტურ ორგანიზაციებს, მიმდინარეობდა აქტიური და ორგანიზებული კამპანია სოციალურ მედიაში და საჯაროდ მითითება თითქოსდა მათ დანაშაულებრივ ფაქტებთან კავშირებზე. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამგვარი დამოკიდებულება დაუშვებელია და საფრთხეს უქმნის საქართველოში დემოკრატიული განვითარების პროცესს.

საქართველოს სახალხო დამცველი მხარდაჭერას უცხადებს ყველა იმ ორგანიზაციას და მათ წარმომადგენელს, რომლებიც მრავალი წელია საქართველოში მუხლჩაუხრელად მუშაობენ ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის დასამკვიდრებლად და მოუწოდებს ხელისუფლებას, იხელმძღვანელოს საერთაშორისოდ აღიარებული დემოკრატიული სტანდარტებით.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი 23-25 ოქტომბერს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მონაწილეობას იღებს საერთაშორისო კონფერენციაში, რომლის თემატიკაც პირდაპირ ეხმიანება არასამთავრობო სექტორსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობებს. სახალხო დამცველის კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლაში ყურადღებას საქართველოში არასამთავრობო სექტორის საქმიანობის გამოწვევებზე გაამახვილებს და კოლეგებთან ერთად განიხილავს ომბუდსმენის ინსტიტუტების როლს მათი მხარდაჭერის და გაძლიერების თვალსაზრისით, – ნათქვამია განცხადებაში.

ოკუპირებულ აფხაზეთში ხაჯიმბას გადადგომის მოთხოვნა ისევ გააქტიურდა

რა მისიას აკისრებს კრემლი და სომხური ლობი ინალ არძინბას?

მარიამ მჭედლიშვილი

აფხაზეთში საოკუპაციო რეჟიმის ახლანდელი მეთაურის რაულ ხაჯიმბას გადადგომა პოლიტიკურ ოპონენტებს წინა წლებშიც მოუთხოვიათ, მაგრამ ხაჯიმბას მოწინააღმდეგეების ახლანდელი პროტესტი უფრო ფართოა. მას აფხაზეთის ახალგაზრდობაც შეუერთდა.

ცოტა ხნის წინ ახალგაზრდობის ფორუმზე, რომელსაც ესწრებოდნენ მთელი რეგიონის წარმომადგენლები, ხაჯიბას გადადგომისკენ არაპოლიტიკოსებმაც მოუწოდეს. საქმე ამით არ დამთავრებულა. ხაჯიმბას გარემოცვამ დაიწყო იმის მტკიცება, რომ ახალგაზრდების შეკრებასა და მოთხოვნებს არ გააჩნია იურიდიული საფუძველი.

ეს განცხადებები უპასუხოდ არ დაუტოვებიათ ხაჯიმბას სტაჟიან პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს. მხარეებს შორის კამათი გრძელდება.

გაერთიანება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის გადარჩენის ეროვნული მოძრაობა“ მოუწოდებს ხაჯიმბას და მის მომხრეებს, რეალურად შეაფასონ ვითარება და უარი თქვან საზოგადოების მოტყუებაზე.

მათი განმარტებით, ახალგაზრდობის შეკრება და მოთხოვნები სრულად შეესაბამება აფხაზეთის კონსტიტუციას. აფხაზეთის პრეზიდენტის

გადადგომის მოთხოვნის, ასევე შეკრების უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს და საზოგადოებრივ ჯგუფს. ფორუმის მონაწილე ახალგაზრდები თვლიან, რომ მოხდა სამართალდამცავი ორგანოების დეგრადაცია, ეკონომიკა სტაგნაციაშია, არსებობს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის საფრთხე. ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პრეზიდენტს.

ოპოზიცია ხაჯიმბას ახსენებს, რომ 2013 და 2014 წლებში იგი პირადად მოითხოვდა მაშინდელი პრეზიდენტის, ალექსანდრე ანქვაბის გადადგომას.

– თქვენ რომელი სამართლებრივი არგუმენტებით ხელმძღვანელობდით? -მიმართავენ შეკითხვით ხაჯიმბას.

– მომწიფდა სიტუაცია, როცა სახელმწიფოს გადასარჩენად აუცილებელი პიროობაა პრეზიდენტის ნებაყოფლობით გადადგომა და ვადამდელი არჩევნების ჩატარება, – აღნიშნავს ოპოზიციური მოძრაობა.

ამ მოვლენებს ემთხვევა ერთი საკადრო გადაწყვეტილება მოსკოვში. აფხაზური წარმოშობის პერსპექტიული და წარმატებული ახალგაზრდა ინალ არძინბა, რომელიც რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობს და რომელსაც უკრაინის სეპარატისტული ოლქების, დონეცკისა და ლუგანსკის ე.წ. სახალხო რესპუბლიკების კურირებაც კი დაევალა, ახალ პოზიციაზე გაამწესეს. ის დაინიშნა რუსეთის პატრიარქ კირილთან არსებული კონფესიათაშორის ახალგაზრულ საქმეთა საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარედ.

საბჭო იმუშავებს საგანმანათლებლო და საქველმოქმედო მიმართულებით. იგი მოაწყობს კულტურულ აქციებს.

არძინბასთვის ახალი მისიის დაკისრება დაემთხვა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს, ასევე მოსკოვისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებს შორის დაწყებულ კონფლიქტს უკრაინის ეკლესიის გამო.

ექსპერტები ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ამბობდნენ, რომ კრემლი რაულ ხაჯიმბას შემცვლელად ამზადებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის ხელში დაფრთიანებულ ახალგაზრდა წარმატებულ ინალ არძინბას.

მათი აზრით, ხაჯიმბა ყოველთვის რუსეთის სპეცსამსახურების მუშაკი იყო, თუმცა ის აფხაზეთში ცხოვრობდა და ამის გამო ანგარიშს უწევს აფხაზი მოსახლეობის სურვილებსა და პრეტენზიებს. ხაჯიმბამ ვერ გაართვა თავი ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა რუსეთის მოქალაქეებისათვის მიწებისა და უძრავი ქონების აფხაზეთში მიყიდვის უფლების დაკანონება. ხაჯიმბა აფერხებს იმ საკითხების გატანას, რომლებიც მნიშვნელოვანია რუსეთის ხელისუფლებისა და სომხური ლობისთვის, რომლის ერთ-ერთი ლიდერი სერგეი ლავროვია.

ექსპერტების აზრით, იმას, რაც ვერ გაბედა ხაჯიმბამ, მოახერხებს არძინბა, რომელმაც კარიერა მოსკოვში გაიკეთა.

„საქართველოს ფოსტას“ ყოფილი თანამშრომლისთვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სქესის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტით „საქართველოს ფოსტიდან“ უკანონოდ განთავისუფლებული დასაქმებულის გუგული შამილიძის სარჩელი დააკმაყოფილა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროფკავშირები ავრცელებს.

მათივე ცნობით, საქართველოს ფოსტას 2017 წლის 1 აგვისტოდან ამ ნაწილში გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე ყოველთვიურად 625 ლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდა დაეკისრა. სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადგინა „საქართველოს ფოსტის“ მენეჯმენტის უკანონო მოქმედება.

გუგული შამილაძე საქართველოს ფოსტაში 1990 წლიდან იყო დასაქმებული. 2011 წლიდან მუშაობდა საქართველოს ფოსტის ხელვაჩაურის სერვისცენტრში კურიერის თანამდებობაზე.

– 2017 წლის 8 მაისის წერილით დამსაქმებელმა შეატყობინა, რომ სერვისების გაუმჯობესების და ფოსტის სწრაფად ჩაბარების მიზნით კურიერს უნდა ჰქონდეს „ა“ კატეგორიის მართვის მოწმობა. მართვის მოწმობის წარსადგენად მას 1 თვის ვადა განუსაზღვრეს. გუგული შამილაძე მუშაობდა ხელვაჩაურში, სადაც არ არის ავტოსკოლა, ამასთან მუშაობდა კვირაში 6 დღე. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 6 საათამდე, ხოლო შაბათს 3 საათამდე. ამის გათვალისწინებით ბათუმის ავტოსკოლაშიც ვერ შეძლებდა სიარულს. 2017 წლის 28 ივნისს დამსაქმებელმა შეატყობინა, რომ ვინაიდან დასაქმებულმა არ წარადგინა „ა“ კატეგორიის მართვის მოწმობა, ის გათავისუფლებულია სამსახურიდან შრომის კოდექსის 37-ე მუხლის 1-ელი ნაწილის „ვ“ პუნქტის საფუძველზე (კვალიფიკაციის შეუსაბამობა).

ხელვაჩაურის სერვისცენტრში დასაქმებული იყო 3 კურიერი. 2 ქალი. ორივე დასაქმებულ ქალს მოსთხოვეს 1 თვის ვადაში აეღო „ა“ კატეგორიის მართვის მოწმობა, მაშინ როდესაც იმავე სერვისცენტრში დასაქმებული კაცისთვის იგივე მოთხოვნა არ წაუყენებიათ. შესაბამისად – თუ „ა“ კატეგორიის მართვის მოწმობა აუცილებელი იყო სერვისების გაუმჯობესებისთვის და გზავნილების სწრაფად ჩასაბარებლად, მაშინ ასეთი მოთხოვნა უნდა წაეყენებინათ ყველა კურიერისთვის, როგორც იმავე სერვისცენტრში, ასევე საქართველოს ფოსტის სხვა სერვისცენტრებშიც.

მოპასუხეს არ ჰქონდა იმის არგუმენტაცია, თუ რატომ არ მოსთხოვა იმავე სერვისცენტრში დასაქმებულ კაცს „ა“ კატეგორიის მართვის მოწმობა. ასევე ვერ წარმოადგინა მტკიცებულება, რომ სხვა სერვისცენტრში დასაქმებულ კაცებს წაუყენეს იგივე მოთხოვნა მართვის მოწმობასთან დაკავშირებით. დისკრიმინაციის გამოსარიცხად მოპასუხემ წარმოადგინა ხელშეკრულებები მოპედების შესყიდვასთან დაკავშირებით და განმარტავდა, რომ მხოლოდ მოპედების მეშვეობით მოხდება კურიერების გადაადგილება. ამის საწინააღმდეგოდ სასამართლოს წარვუდგინეთ საქართველოს ფოსტის ვებგვერდიდან ამოღებული ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია, სადაც სხვადასხვა დროს გამოცხადებული იყო ფეხით მოსიარულე კურიერის ვაკანსიები. შესაბამისად საქართველოს ფოსტის არგუმენტი, რომ მხოლოდ მოპედებით უნდა მოხდეს კურიერის გადაადგილება, არ დასტურდებოდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გათავისუფლება უკანონოდ მიიჩნია, გააუქმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, ბათილად ცნო საქართველოს ფოსტის გადაწყვეტილება შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე, დაადგინა დისკრიმინაციის ფაქტი სქესის ნიშნით და მოწინააღმდეგე მხარეს დააკისრა კომპენსაციის გადახდა.

მოსარჩელეს ინტერესებს სასამართლოში პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების იურისტი ნინო განჯელაშვილი იცავდა. მას იურიდიული დახმარება გაეწია პროექტის „სტრატეგიული სამართალწარმოება და ცნობიერების ამაღლების კამპანიები ქალებისთვის შრომით უფლებებზე ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე სასამართლოს ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, რომელსაც საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI)-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) ფარგლებში,“– აღნიშნულია ინფორმაციაში.

ბანკები და ფინანსები

„რეგულაციები ვისი იდეაცაა, გამოჩნდა, ახლა ეროვნული ბანკი და მთავრობა ცდილობს, ეს დავალება შეასრულოს“

– მთავრობამ საბანკო რეგულაციების დაწესების სანაცვლოდ, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ადამიანებს შემოსავლები გაუჩნდეთ, – ასე აფასებს „ევროპის უნივერსიტეტის“ პროფესორი გოჩა თუთბერიძე პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის დღევანდელ განცხადებას ჭარბვალიანობასა და საბანკო რეგულაციებზე.

საქართველოში გვაქვს რისკი, რომ ჭარბვალიანობა გადავიდეს სისტემურ პრობლემაში, – აღნიშნა პრემიერმა მთავრობის სხდომის დაწყების წინ. მისი განმარტებით, ქვეყანაში საბანკო რეგულაციების შემოტანა და დედოლარიზაციის პროცესის დაჩქარება სწორი ნაბიჯია და მხარს უჭერს იმ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ჭარბვალიანობის შემცირებისკენ.

თუმცა, გოჩა თუთბერიძის განცხადებით, ჭარბვალიანობის თემა არის მორიგი სისულელე, რომელსაც მთავრობა აღიარებს. როგორც საბანკო ექსპერტი განმარტავს, მთავრობამ 6 წლის განმავლობაში თავისი უმოქმედობა ამ პრობლემას გადააბრალა.

როგორც თუთბერიძე განმარტავს, გარდა ამისა, გადაწყვეტილებები, რომელსაც ამ მიმართულებით იღებენ, კიდევ უფრო გაართულებს ცხოვრებას.

მისი განმარტებით, დღეს ქვეყანაში მთავარი პრობლემაა ფინანსური ხელმისაწვდომობაა, ანუ ფინანსური სიღრმე ძალიან დაბალია. ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ მონოპოლიზირებულია ბაზარი, დომინირებენ მხოლოდ ბანკები და ადამიანებს სხვა არჩევანი არ აქვთ გარდა იმისა, რომ ბანკებს მიმართონ და საჭიროების შემთხვევაში სესხი აიღონ. გარკვეულწილად ამას არბილებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და კერძო მევახშეები, რომლებიც საკმაოდ დიდი პროცენტით იძლევიან ფულს იმიტომ, რომ ბაზარი დაუბალანსებელია, მონოპოლიზებულია.

რაც შეეხება ახალ რეგულაციებს, თუთბერიძის განმარტებით, იმის ნაცვლად, რომ პირიქით, ადამიანებს ფინანსური ხელმისაწვდომობა გაეზარდოთ, დაანონსებული საბანკო შეზღუდვები სიტუაციას გაართულებს. „ეს რეგულაციები ვისი იდეაცაა, გამოჩნდა ორი დღის წინ, სატელევიზიო ინტერვიუში. ახლა ეროვნული ბანკი და საქართველოს მთავრობა ცდილობს ეს დავალება შეასრულოს, – აცხადებს თუთბერიძე.

მისი განმარტებით, მთავრობამ იმის ნაცვლად, რომ რეგულაციები დააწესოს, უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ადამიანებს შემოსავლები გაუჩნდეთ. როგორც თუთბერიძე აცხადებს, მთავრობა ხალხს ვერ დაასაქმებს, თუმცა, უნდა შექმნას ისეთი პირობა, რომ განვითარდეს წარმოება, რაც აპრიორი გახდება მოსახლეობის დასაქმების გარანტი.

– მთავრობამ უნდა შექმნას პირობები, რომ არ იყოს მონოპოლიები, უნდა განახორციელოს ანტიმონოპოლიური საქმიანობა, რასაც არ აკეთებს და ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ყველგან მონოპოლიები გვაქვს, – აცხადებს თუთბერიძე.

კითხვაზე, ხომ არ არის მამუკა ბახტაძის დღევანდელი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში გვაქვს რისკი, რომ ჭარბვალიანობა სისტემურ პრობლემაში გადავიდეს, იმის დასტური, რომ მთავრობა ან დაანონსებული რეგულაციების შერბილებას აპირებს, ან ახლავე იცის, რომ ჭარბვალიანობას ვერ მოერევა, თუთბერიძე აღნიშნავს, რომ სიტუაცია უარეს ვითარებაში გადავა, რადგან ამ ადამიანებმა არ იციან, გამოსავალი რაში მდგომარეობს.

როგორც თუთბერიძე აცხადებს, ქვეყნის პრობლემა ეკონომიკის არარაციონალური სტრუქტურაა.

– მთავრობაში, სამწუხაროდ, არ აქვთ იმის ხედვა, რომ ეს დაალაგონ, შეცვალონ. ამიტომ, გამოძებნეს ახალი პრობლემა – ჭარბვალიანობა, ამის დასაძლევად მუშაობენ, შემდეგ შექმნიან ილუზიას, რომ რაღაცას აკეთებენ, ჩაივლის არჩევნები და ეს საკითხი ყველას მიავიწყდება, რეგულაციის შედეგად დაზარალებული კი უამრავი ადამიანი აღმოჩნდება.

ასევე დაზარალდება საფინანსო სექტორი და ქვეყანაში კიდევ უფრო მეტი უმუშევარი დარჩება, შედეგად ფინანსური ხელმისაწვდომობა კიდევ უფრო შეეზღუდებათ.

– წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელიც შვილს ოპერაციას უკეთებს, ბანკი ფულს არ მისცემს, სად უნდა იშოვოს ფული, რა უნდა ქნას? ყველაფერი ჩრდილოვან ეკონომიკაში გადაინაცვლებს, ეს იქნება შედეგი, – აცხადებს თუთბერიძე.

„ჩემ მიერ წარმოებული სუნელი ტყვიას არ შეიცავს“ — ქართული სუნელის მწარმოებელი კომპანია Geo სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებს

ქართული სუნელის მწარმოებელი კომპანია, შპს Geo, აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე – სუნელებში ტყვიის მაღალი დოზის აღმოჩენასთან დაკავშირებით „კომერსანტთან“ აფასებს. კომპანიის დამფუძნებლის და ხელმძღვანელის მუხრან გაგნიძის განცხადებით, მისი კომპანიის მიერ წარმოებული ქართული სუნელი ტყვიას არ შეიცავს და, შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

როგორც ცნობილია, აშშ-ის საელჩო საქართველოში მცხოვრებ ამერიკის მოქალაქეებს აფრთხილებს, რომ საქართველოში წარმოებულ სანელებლებში აღმოჩენილია ტყვიის მაღალი შემცველობა.

– აშშ-ის საელჩოს მიერ ახლახან ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადგილობრივი წარმოების სანელებლების ორ სინჯში (ხმელი სუნელი და ყვითელი ყვავილი) ტყვიის შემცველობა მნიშვნელოვნად აღემატება ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაშვებულ მაჩვენებლებს. ორივე პროდუქტი წარმოებულია „GEO-Group“-ის მიერ და ნაყიდია „აგროჰაბში“, – წერია აშშ-ის საელჩოს მიერ საქართველოში მცხოვრები ამერიკის მოქალაქეებისთვის 25 ოქტომბერს გაგზავნილ მიმართვაში.

Geo-ს დამფუძნებელი და ხელმძღვანელი მუხრან გაგნიძე „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ მის მიერ წარმოებული სუნელები შემოწმებულია სხვადასხვა ლაბორატორიებში და მათ მიერ გაცემული შესაბამისობის სერთიფიკატი ადასტურებს იმას, რომ პროდუქტი აბსოლუტურად სუფთაა. როგორც გაგნიძე განმარტავს, სუნელები რამდენიმე აკრედიტებულ ლაბორატორიაში, მათ შორის, „ჰიგიენა ჯგუფში“ შემოწმდა.

7 სამინისტროში თანამშრომელთა რაოდენობა 3,207-ით შემცირდა, თუმცა შრომის ანაზღაურება 6.8 მილიონით გაიზარდა

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იმ სამინისტროებში, სადაც 2018 წელს თანამშრომელთა რაოდენობის კლებასთან დაკავშირებით ცვლილებები განხორციელდა, იზრდება შრომის ანაზღაურებაზე გამოყოფილი თანხები.

2017 წელთან შედარებით, 7 სამინისტროში თანამშრომელთა რაოდენობა 3,207 -ით შემცირდა, თუმცა, 6,8 მილიონით გაიზარდა შრომის ანაზღაურების ხარჯები.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, 2018 წლის გეგმასთან შედარებით, დაახლოებით 19 %-ით მცირდება თანამშრომელთა რაოდენობა, ხოლო შრომის ანაზღაურების ხარჯი 2%-ით იზრდება. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით 13%-ით იკლებს, მაშინ როდესაც, შრომის ანაზღაურების ხარჯი 12%-ით იზრდება.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს თანამშრომელთა რაოდენობა 28%-ით არის გაზრდილი და შეადგენს 5.070-ს, 2019 წელს კი ამ რიცხვის შემცირება არ იგეგმება. რაც შეეხება ხელფასის რაოდენობას, ის ყოველწლიურად მცირდება და მომავალი წლის პროექტის მიხედვით 47505 ლარით არის წარმოდგენილი, მაშინ როცა, მიმდინარე წელს 49.365, ხოლო წინა წელს დაახლოებით 53.840 ლარი იყო.

თანამშრომელთა რაოდენობის მიხედვით, თავდაცვის სამინისტრო ლიდერობს. 2017 წელს მათი რიცხვი 42.251 იყო, 2018 წელს 41.992, ხოლო 2019 წლის პროექტის მიხედვით, სამინისტროში დასაქმებულთა რაოდენობა 96-ით მცირდება და შეადგენს 41.896-ს.

BFM.GE

მამუკა ბახტაძე: „მცირე ბიზნესის შემოსავლები მე-3 კვარტალში გაორმაგებულია და ის გაიზარდა თითქმის ასი პროცენტით“

„მცირე ბიზნესის შემოსავლები მე-3 კვარტალში გაორმაგებულია და ის გაიზარდა თითქმის ასი პროცენტით“ – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის დაწყების წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა უპრეცედენტო საგადასახადო რეჟიმი მცირე მეწარმეებისთვის – გადასახადების შემცირება 1%-მდე, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისთვის, რომ საქართველომ მიაღწიოს ინკლუზიურ ზრდას.

– მცირე ბიზნესის შემოსავლები მე-3 კვარტალში გაორმაგებულია და ის გაიზარდა თითქმის ასი პროცენტით. მოგეხსენებათ, რომ ამ საკითხის ინიციატორი მე გახლდით ფინანსთა მინისტრის პოსტზე და ეს შედეგი მართლაც არის უნიკალური და მინდა ობიექტურად აღვნიშნო, იმაზე მეტი, ვიდრე მქონდა ჩემს გათვლებში და პროგნოზში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იმისთვის, რომ ჩვენ საქართველოში მივაღწიოთ ინკლუზიურ ზრდას, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველოს და ქვეყნის ეკონომიკის წარმატება გადის სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე. შესაბამისად, ამ ციფრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ ჩვენ ქვეყანაში გვჭირდება უფრო მეტი ინკლუზიური ზრდა.

– შესაბამისად, ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ყველა პროგრამა და შევქმნათ ახალი მექანიზმები იმისთვის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წილი კიდევ უფრო მეტად გავზარდოთ ჩვენს მთლიან შიდა პროდუქტში. ამასთან ერთად, აქტიური მეწარმეების რაოდენობა არის 70 ათასზე მეტი და აქტიურად გრძელდება რეგისტრაციის პროცესი, – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მეზობლის მკვლელობაში ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ზუგდიდში, მეზობლის მკვლელობაში ბრალდებულს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, – ამის შესახებ პროკურატურის განცხადებაშია ნათქვამი, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

– ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული რ.ჯ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 7 აგვისტოს, ღამის საათებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუმში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა რ.ჯ-მ მეზობელს შ.დ.-ს ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, განზრახ მოკვლის მიზნით, სამი ჭრილობა მიაყენა, მათ შორის ერთი გულმკერდის არეში. მიღებული ჭრილობების შედეგად შ.დ. საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა რ.ჯ. იმავე დღეს, შემთხვევიდან მალევე დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ რ.ჯ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ქუთაისი-ვარშავის ბორტზე ბომბის არსებობა ცრუ განგაში აღმოჩნდა

ქუთაისი – ვარშავის ბორტზე შემოწმება დასრულდა, ბომბის არსებობა ცრუ განგაში აღმოჩნდა – ამის შესახებ „ნიუპოსტს“ საქართველოს აეროპორტების გაერთიანებიდან აცნობეს.

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ განცხადებით, 25 ოქტომბერს „ვიზეარის“ რეისმა ჭ6 1.576 ქუთაისი – ვარშავას მიმართულებით იძულებითი დაშვება განახორციელა რუმინეთის ქალაქ ბუქარესტში, რისი მიზეზიც ქუთაისის აეროპორტში განხორციელებული საეჭვო სატელეფონო ზარი გახდა. ბორტის წევრებმა იმოქმედეს დადგენილი პროცედურების შესაბამისად და რისკის თავიდან აცილების მიზნით, საჰაერო ხომალდის დაუგეგმავი დაშვება განახორციელეს ბუქარესტის აეროპორტში. ყველა მგზავრი და ბორტის წევრი უსაფრთხოდ იქნა გადაყვანილი ხომალდიდან.

ამჟამად შემოწმების პროცესი დასრულებულია. აღმოჩნდა ცრუ განგაში. თვითმფრინავი გადაყვანილია სადგომზე და მიმდინარეობს მგზავრების ჩასხდომა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტმა ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტის საინფორმაციო ცენტრში შესული შეტყობინების ფაქტზე გამოძიება დაიწყო სსკ-ის 331-ე მუხლით, რაც ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებას გულისხმობს.

ესპანეთის პოლიციამ გემზე 1.400 კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინა – დაკავებული 10 პირიდან ერთი ქართველია

ესპანეთის პოლიციამ მოლდოვის დროშის ქვეშ მცურავ გემზე 1.400 კილოგრამი კოკაინი აღმოაჩინა. ამ ფაქტთან დაკავშირებით 10 ადამიანია დაკავებული, მათ შორისაა თურქეთის 7 მოქალაქე, ერთი ქართველი, ერთი უკრაინელი და ერთი ბულგარელი. ინფორმაცია ამის შესახებ ესპანურმა მედიამ 23 ოქტომბერს გაავრცელა.

ესპანელი სამართალდამცავები ნარკოტიკს თურქულ მაფიასთან აკავშირებენ და აცხადებენ, რომ სამხრეთ ამერიკიდან კოკაინის ევროპის ქვეყნებში მოხვედრა თურქეთის და ესპანეთის გავლით უნდა მომხდარიყო.

სლოტ კლუბ „ვეგასში“ მამაკაცს მოგებული თანხის მოთხოვნის შემდეგ სასტიკად გაუსწორდნენ

ახალგაზრდა მამაკაცი სლოტ კლუბ „ვეგასის“ დაცვის თანამშრომლებს ფიზიკურ ანგარიშსწორებაში ადანაშაულებს. ვახტანგ ალიბეგაშვილი ირწმუნება, რომ მან სოლიდური თანხა მოიგო, თუმცა თანხის მიღების სანაცვლოდ, მას დაწესებულების 10-მდე თანამშრომელი სასტიკად გაუსწორდა.

– თავი ჩამაღუნინეს, ყველა თანამშრომელი მცემდა. დაცვის პოლიციის თანდასწრებით მცემეს, მათ კი ხმა არ გაუღიათ, – აცხადებს ახალგაზრდა.

ალიბეგაშვილი ამბობს, რომ ინცინდენტის შემდეგ მას ქირურგიული ოპერაცია დასჭირდა.

„ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა, სადაც აღნიშნეს, რომ 17 ოქტომბერს გლდანი-ნაძალადევის პოლიციის სამმართველოში დაიწყო გამოძიება თბილისში, გლდანში მდებარე ერთ-ერთი სლოტკლუბში მოქალაქის ცემის ფაქტზე.

უწყების ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს.

– გამოძიების ფარგლებში ჩატარდა მოწმეთა გამოკითხვები. მოქალაქე ვ.ა. პოლიციაში გამოცხადდა დანაშაულიდან მე-4 დღეს, ჩვენების მიცემამდე მოითხოვა ადვოკატის ჩართვა. პოლიცია ამ დრომდე ელოდება, მისი, როგორც საქმის მთავარი ფიგურანტის ჩვენებას. დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები. სასამართლო განჩინების საფუძველზე მიმდინარეობს მტკიცებულებების შეგროვება, მათ შორის ვიდეო სამეთვალყურეო ჩანაწერების, – აცხადებენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

„მცდელობა ჰქონდა ჩემს გატაცებას... პოლიცია დუმს“ – ბიზნესმენი თამაზ ელიზბარაშვილი ავტომანქანის ნომერს აქვეყნებს

ბიზნესმენ და ცხოველთა თავშესაფრის მფლობელ თამაზ ელიზბარაშვილს გუშინ იტაცებდნენ. ამის შესახებ თავად ბიზნესმენმა სოციალურ ქსელში დაწერა:

– მივმართავ შინაგან საქმეთა სამინისტროს, 25 ოქტომბერს 00:30 სთ-ზე, სავარაუდოდ, მცდელობა ჰქონდა ჩემს გატაცებას, რისგანაც შემთხვევით ერთმა კეთილმა ადამიანმა გადამარჩინა. მანქანის ნომერია PKP-362, ვერცხლისფერი BMW X5. დავრეკე საპატრულო პოლიციაში. რეაქცია ნოლი. ეხლა მივდივარ ვაკის რაიონის პოლიციაში.

მოგვიანებით, სოციალური ქსელითვე თამაზ ელიზბარაშვილმა კიდევ ერთი ინფორმაცია გაავრცელა:

– ეხლა გამოვედი ვაკის პოლიციიდან, ახალ გზაზე რომ არის. ნახევარი საათი მაყურყუტეს, პასუხიც ვერ გამცეს, ვინ არის ამ მანქანის მფლობელი, რომელსაც ჩემი გატაცება უნდოდა (ვერცხლისფერი X5 სახელმწიფო ნომერი PKP-362).

პოლიცია, რომელიც ვალდებულია დაიცვას თითოეული ჩვენთაგანი კრიმინალისაგან – დუმს.

„ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა:

– აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე პრიმა მუხლით დაიწყეს, რაც ადევნებას გულისხმობს. სამართალდამცველები კანონით გათვალისწინებულ ყველა საგამოძიებო მოქმედებას ატარებენ, – აცხადებენ შს სამინისტროსთან.

ე.წ. კანონიერი ქურდი მინდია ლავასოღლი ტრაპიზონში დააკავეს

თურქული მედიის ინფორმაციით, ოთხშაბათს ტრაპიზონის პროვინციაში ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდი მინდია გორაძე, იგივე „ლავასოღლი“ დააკავეს. როგორც თურქული მედია წერს, ინტერპოლის მიერ ძებნილ „ლავასოღლის“ ორგანიზებული დანაშაულებრივი სინდიკატის ლიდერობა ედება ბრალად.

ივლისის თვეში ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და კანონიერ ქურდობაში, ჯგუფურად გამოძალვის ორგანიზებასა და ძალადობის მუქარით ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლაში ბრალდებული მინდია ლავასოღლი (მინდია გორაძე) დამნაშავედ ცნო და მას დაუსწრებლად სასჯელის ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ძარცვაში ბრალდებული კ.ჭ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

როგორც „ნიუპოსტს“ პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ ყაჩაღობისთვის ნასამართლევი კ.ჭ. 2018 წლის 2 მაისს, ქ. ზუგდიდში, „ოქროს სავაჭრო ბირჟიდან“ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აშკარად დაეუფლა ს.ჩ-ს კუთვნილ ოქროს სამკაულებს, რის შედეგადაც ს.ჩ.-ს მიადგა 45 399 ლარის დიდი ოდენობით ქონებრივი ზიანი. სამართალდამცველებმა კ.ჭ. 2018 წლის 5 მაისს დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული კ.ჭ. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

თბილისსა და მარნეულში ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით 5 პირი დააკავეს

სამართალდამცველებმა თბილისსა და მარნეულში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე 5 პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-დან აცნობეს, დაკავებულებს ბრალი ედებათ ქურდული სამყაროს წევრობაში, ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის მიღებასა და კანონიერი ქურდისადმი მიმართვაში. ჩადენილი დანაშაულები 7-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამინისტროს ინფორმაციით, კერძოდ, დაკავებულებს კავშირი ჰქონდათ უცხოეთში მყოფ ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ – ჯეირან კინწურაშვილთან და ირაკლი დანელიასთან და მათთან შეთანხმებით ე.წ. „ქურდულ გარჩევებს“ აწყობდნენ.

– დაკავებულები არიან: 1960 წელს დაბადებული გ. დ., 1985 წელს დაბადებული ტ.დ., 1977 წელს დაბადებული ე.კ., 1976 წელს დაბადებული ზ.ბ. და 1982 წელს დაბადებული გ.გ.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულები „ქურდული სამყაროს“ მიერ დადგენილი წესებით მოქმედებდნენ, კერძოდ, დაკავებულებს კავშირი ჰქონდათ უცხოეთში მყოფ ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“ – ჯეირან კინწურაშვილთან და ირაკლი დანელიასთან და მათთან შეთანხმებით ე.წ. „ქურდულ გარჩევებს“ აწყობდნენ.

გამოძიება ქურდული სამყაროს წევრობის, ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის მიღებისა და კანონიერი ქურდისადმი მიმართვის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 223-პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით, 223-პრიმა-2 მუხლით და 223-პრიმა-4 მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს,“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სპეცოპერაცია ნაძალადევში – დაკავებულია სამი პირი

თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ურიდიას ქუჩაზე სპეცოპერაცია ჩატარდა.

ადგილობრივების თქმით, დაკავებულია მინიმუმ სამი ადამიანი. სამივე მათგანი ავტომობილიდან გადმოიყვანეს.

ადგილობრივების თქმით, ადგილზე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის და სპეცდანიშნულების რაზმის წარმომადგენლები იყვნენ მობილიზებულნი.

ურიდიას ქუჩაზე მცხოვრების თქმით, დაკავებულებს არ იცნობენ და, სავარაუდოდ, ისინი ამ უბანში არ ცხოვრობდნენ.

დაკავებულები შს სამინისტროში გადაიყვანეს. უწყებაში „ნიუპოსტს“ უთხრეს, რომ საკითხზე განცხადება მოგვიანებით გაკეთდება.

ავარია ბათუმთან – დაშავებულია 9 ადამიანი

ბათუმი-ჩაქვის დამაკავშირებელ გვირაბთან მსუბუქი ავტომობილი და მიკროავტობუსი ერთმანეთს შეეჯახა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა 9 ადამიანი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ტრამპი საუდის არაბეთის პრინცს ბრალს სდებს



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობაში, სავარაუდოდ, საუდის არაბეთის პრინცი მუჰამად სალმანია დამნაშავე.

– მსურდა დამეჯერებინა, რომ ჰაშოგის მკვლელობა უფრო დაბალი რანგის ჩინოვნიკების ნახელავია, მაგრამ ეს ასე არ არის, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მუჰამად სალმანი ფაქტიურად ქვეყნის გამგებელია. შესაბამისად წარმოუდგენელია, რომ ჰაშოგის მკვლელობა მის გარეშე მომხდარიყო.

თურქეთის პრეზიდენტის მრჩეველი უფრო შორს წავიდა. მან პრინცს საჯაროდ მკვლელი უწოდა.

– საუდის არაბეთის პრინცს ხელები სისხლში აქვს მოსვრილი, – ამბობს ერდოღანის მრჩეველი.

უკრაინა სიტუაციის გამწვავებისთვის ემზადება

პეტრო პოროშენკომ ხელი მოაწერა ბრძანებას უკრაინის აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონებში ეროვნული ინტერესების დაცვის შესახებ.

ამით მოქმედებაში მოვიდა უკრაინის უშიშროების საბჭოს დადგენილება აღმოსავლეთ-სამხრეთ რეგიონებში რუსეთის აგრესიის აღკვეთის თაობაზე.

უკრაინის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ვიქტორ მუჟენკომ განაცხადა, რომ გენშტაბმა შეიმუშავა სამი სცენარი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედოს სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში.

– ჩვენ ყველაფრისთვის მზადა ვართ და დაუპატიჟებელ სტუმრებსაც საკადრისად დავხვდებით, – ამბობს მუჟენკო.

ნატო აშშ-ს მხარს უჭერს

ნატო-ს გენერალუმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ აშშ-ის მიერ საშუალო და მცირე რაკეტების შესახებ შეთანხმებიდან გასვლა სწორი ნაბიჯია.

– აშშ იურიდიულად აღნიშნული შეთანხმებიდან არ გასულა! სახეზეა მხოლოდ სიტყვიერი დეკლარაცია, – ამბობს სტოლტენბერგი.

ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ რუსები ხსენებულ შეთანხმებას სისტემატურად არღვევდნენ. შესაბამისად, მის არსებობასაც აზრი არ აქვს.

– აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებას მთლიანად ვეთანხმები, – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ვლადიმერ პუტინის აზრით კი, შეთანხმებიდან აშშ-ს გასვლა ევროპას საფრთხეს უქადის.

– დაიწყება გამალებული შეიარაღება. ევროპაც ჩვენი რაკეტების სამიზნე გახდება, – გამოაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა, – რუსეთი გამალებული შეიარაღებისთვის მზადაა და ამერიკელების ნებისმიერ ქმედებას ეფექტური კონტრ-ქმედებით უპასუხებს.

– ისმის კითხვა, რა დაემართება ევროპას? – ამბობს პუტინი.

მოგერინი: „რუსეთი შავიზღვისპირა რეგიონს საფრთხეს უქმნის!

ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ მიუღებელი უწოდა იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთი შავ და აზოვის ზღვებში ეწევა.

– ჩვენ უკრაინას მტკიცე მხარდაჭერას ვუცხადებთ! რუსეთმა უნდა იცოდეს, რომ შავი ზღვა ევროპის ზღვაცაა, – ამბობს მოგერინი.

აღნიშნულ პრობლემას ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგიც შეეხო. მან თქვა, რომ რუსეთის აგრესიული პოლიტიკა მიუღებელია.

– ნატო შავი და აზოვის ზღვების პრობლემის მოგვარებას უდიდეს ყურადღებას მიაქცევს, – აცხადებს სტოლტენბერგი.

შოიგუ და პატრუშევი რუსეთში შპიონომანიის გაღვივებას ცდილობენ

მინსკში რუსეთისა და ბელორუსის სამხედრო უწყებების ერთობლივი კომისიის სხდომა შედგა. მასზე სიტყვით რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ გამოვიდა. მან განაცხადა, რომ ნატო სულ უფრო აქტიურდება და რუსეთის საზღვარს უახლოვდება.

– ნატო რუსეთზე თავდასხმას ამზადებს, – თქვა შოიგუმ.

მას არც უშიშროების საბჭოს მდივანი ჩამორჩა. პატრუშევმა განაცხადა, რომ ციმბირში ტერორისტები გამოჩნდნენ.

– ძირითადად ესენი ამიერკავკასიიდან გადმოსული შრომითი მიგრანტები არიან, – ამბობს პატრუშევი.

ექსპერტების აზრით, აღნიშნული გამოსვლები შემთხვევით არ მოხდა. პუტინის რეიტინგი ეცემა. რუსეთის პრეზიდენტიც ცდილობს, რეპრესიებისთვის ნიადაგი შეამზადოს, რადგან სხვაგვარად ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს – გარე საფრთხე და ტერორისტები რეპრესიების გაძლიერებისთვის საუკეთესო საბაბია.

ნორვეგიაში ნატოს სამხედრო სწავლებები დაიწყო

ნორვეგიაში დაიწყო ნატოს სამხედრო სწავლებები, რომლებიც 7 ნოემბრამდე გასტანს. მათში მონაწილეობას მიიღებს ნატოს წევრი ყველა ქვეყანა, აგრეთვე ფინეთი და შვეცია.

რუსეთმა და ბელორუსმა სწავლებებზე მეთვალყურეები გაგზავნეს.

ცივი ომის შემდეგ ეს ნატოს ყველაზე მსხვილი სამხედრო სწავლებებია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

საქართველოს ნაკრები ერთი პოზიციით დაწინაურდა

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა გასულ თვეში 2 მეტოქე კი დაამარცხა, მაგრამ მათი სისუსტის გამო ფიფას განახლებულ რეიტინგში მხოლოდ ერთი პოზიციით წაიწია და ამჟამად 1.265 ქულით 92-ე პოზიციაზეა.

„დიდ ათეულში“ დიდი ცვლილებები არ მომხდარა: რეიტინგს ბელგიის ნაკრები ჩაუდგა სათავეში, რომელიც აქამდე საფრანგეთის ნაკრებთან ერთად იყოფდა პირველ ადგილს. კიდევ ერთი გადაადგილება ერთმანეთში ინგლისისა და ურუგვაის ნაკრებებმა მოახდინეს.

1. ბელგია – 1.733; 2.საფრანგეთი – 1.732; 3.ბრაზილია – 1.669; 4.ხორვატია – 1.635; 5ინგლისი – 1.619; 6.ურუგვაი – 1.617; 7.პორტუგალია – 1.616; 8.შვეიცარია – 1.598; 9.ესპანეთი – 1.594; 10.დანია – 1.584.

რაც შეეხება ჩვენს მეტოქეებს უეფას ერთა ლიგაზე, ყაზახეთი 117-ეა, ლატვია 132-ე ადგილს იკავებს, 133-ეა ანდორა.

ტორპედო ნახევარფინალისტებს შეუერთდა

შუქურა-ტორპედო 1:3

ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე

1:0 ბულუხაძე (3), 1:1 გიგაური (51), 1:2 კაპანაძე (54), 1:3 ძიმაძე (61)

შუქურა: ჯიოევი, ბულუხაძე, კალანდაძე, კალანდია, დოს რეის რამოსი, ჩელებაძე, მუხულიშვილი, ქათამაძე, ექვთიმიშვილი, ნუნიეში, სანაშვილი

ტორპედო: კვასხვაძე, ცინცაძე, კაპანაძე, კუხიანიძე, აზაცკი, გეგეჭკორი, დოლიძე, ქიმაძე, მარინი, კობახიძე, გიგაური

საქართველოს თასის დარჩენილ ბოლო მეოთხედფინალურ მატჩში ქუთაისის ტორპედომ ქობულეთის შუქურა 3:1 დაამარცხა.

მატჩი ლანჩხუთში, ევგრაფი შევარდნაძის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ანგარიში შუქურამ მე-3 წუთზე ომარ ბულუხაძის გოლით გახსნა, პირველი ტაიმიც მოიგო და სენსაციისკენ გაიწია.

თუმცა, შესვენების შემდეგ ტორპედოსგან 3 უპასუხო გოლი მიიღო. გატანილი გოლების ავტორები მერაბ გიგაური, თორნიკე კაპანაძე და გიორგი ქიმაძე გახდნენ.

ამ გამარჯვებით ტორპედო საქართველოს თასის ნახევარფინალში გავიდა. რიონისპირელთა გარდა, ნახევარფინალის საგზური მოპოვებული აქვთ გაგრას, თელავსა და თბილისის დინამოს.

ახალგაზრდული ნაკრების 2 მოგება კოსოვოში

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო თასის გათამაშება, რომელიც მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირია. პირველ მატჩში დავამარცხეთ მალტა – 32:16.

საქართველო თავიდანვე 4:0 დაწინაურდა, თუმცა, შემდეგ მეტოქე წამოგვეწია – 5:3. ვიდრე თამაში დალაგდებოდა, პირველ ნახევარში, ჩვენებმა 14 ბურთი დაკარგეს შეტევაში და მხოლოდ 16:10 მოიგეს, თუმცა, შესვენების შემდეგ შეცდომებმა მკვეთრად იკლო, მალტის გუნდმა სულ 6 გოლის გატანა მოახერხა, სხვაობამ ზრდა იწყო, მწვრთნელებმა კი ყველა მოთამაშეს თანაბრად მისცეს თამაშის საშუალება და დაცვის 5-1 განლაგებაც გამოსცადეს. პირველი მატჩი მხოლოდ ვარჯიში იყო უფრო სერიოზულ მეტოქეებთან – ბრიტანეთთან, კოსოვოსთან და მოლდოვასთან თამაშის წინ.

ნაკრებმა მეორე მატჩიც მოიგო. მალტის შემდეგ ვაჯობეთ ბრიტანეთსაც – 35:17. პირველი ტაიმი ჩვენმა გუნდმა 19-11 მოიგო. მწვრთნელებმა გადაადგილებები მოახდინეს შემადგენლობაში, დაასვენეს დავით ყორიაული, რომელსაც მცირე ტრავმა ჰქონდა. მეორე ტაიმში სხვაობა მალე გადასცდა ათს, საქართველოს ნაკრებმა კი უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე მალტასთან მატჩში.

უკვე ცხადია, რომ ტურნირზე გამარჯვებისთვის საქართველო, კოსოვო და მოლდოვა იბრძოლებენ.

გიგა ზარნაძე, საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი:

– საკმაოდ კარგი თამაში იყო და მეტოქემაც კარგი წინააღმდეგობა გაგვიწია, ასე რომ, მშვენიერი ვარჯიში გამოგვივიდა კოსოვოსთან თამაშის წინ. მთავარია კოსოვოსთან და მოლდოვასთან მატჩები, ჩვენ კი ამ ტურნირის მოსაგებად ვართ ჩამოსულები.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

დორტმუნდმა ატლეტიკო გაანადგურა, პსჟ ისევ ვერ იგებს

ა ჯგუფი

დორტმუნდი-ატლეტიკო 4:0

დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი

1:0 ვიტცელი (38), 2:0 გერერო (73), 3:0 სანჩო (84), 4:0 გერერო (89)

დორტმუნდი არ ჩერდება და მეტოქეებს ზედიზედ ანადგურებს. ამჯერად მსხვერპლი ატლეტიკოა. 4 გოლი მიიღეს მადრიდელებმა დორტმუნდში. აქ გასაკვირი ის არის, რომ ატლეტიკო კარგი დაცვით გამოირჩევა და ამდენ გოლს იშვიათად უშვებს. ესპანელთა მცველები ეზოს ბავშვებივით გამოიყურებოდნენ.

სიმეონეს გუნდმა მე-2 ადგილზე ჩაინაცვლა, პირველი კი დორტმუნდია, რომელსაც 3 მატჩში 9 ქულა აქვს, 8 გატანილი და არც ერთი გაშვებული გოლი.

გერმანელებმა პაკო ალკასერის გარეშეც იოლად მოიგეს. მაგარი იყო როისი, ვიტცელი... შესანიშნავად შევიდა ცვლილებაზე გერერო, რომელმაც დუბლი გაიფორმა, მეკარე ბიურკს კი მთელი მატჩის განმავლობაში საქმე არ ჰქონია და ეს დაცვის დამსახურებაა.

ვინ შეაჩერებს დორტმუნდს – ეს კითხვა გერმანიასა და ევროპაში ისმის. ბუნდესლიგაში ერთადერთი მეტოქე ბაიერნია, რომელიც არცთუ კარგ ფორმაშია. ევროპაში კი მეტოქეები ბლომად არიან, საკითხავია, ვინ იქნება პირველი.

ბრიუგე-მონაკო 1:1

ბრიუგე. იან ბრეიდელსტადიონი

0:1 სილვა (31), 1:1 ვესლი (39)

მონაკოს „წყევლა“ გრძელდება. მონეგასკებს ყველა ტურნირზე უკვე 12 მატჩია არ მოუგიათ. ტიერი ანრიმაც ვერ უშველა თავადებს, რომელიც მხოლოდ 8 წუთის მანძილზე უგებდა ბრიუგეს – მეტი ვერ გაიხარა.

ბ ჯგუფი

ბახსელონა-ინტერი 2:0

ბარსელონა. კამპ ნოუ

1:0 რაფინია (32), 2:0 ალბა (80)

ბარსელონამ საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო მილანურ კლუბს და ჯგუფში პირველ ადგილზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. თითქოს ლეო მესის გარეშე უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ გამოჩნდა რომ ბარსას სხვა შემსრულებლებიც ჰყავს. მართალია, ბარსელონა ისე ვერ გამოიყურებოდა, როგორც მესისთან ერთად, მაგრამ ინტერის დაცვას მაინც უჭირდა.

ერნესტო ვალვერდემ თავისი ლიდერის შემცვლელად არა უსამა დემბელე, არამედ რაფინია დაინახა და არც შემცდარა. სწორედ რაფინიამ გახსნა ანგარიში. შესვენებაზე ლუჩანო სპალეტიმ გადაწყვიტა საქმეში ლუჩანო პოლიტანო ჩაერთო, რომელიც საკმაოდ აქტიური იყო მე-2 ტაიმის დასაწყისში – თავადაც შეეძლო გატანა და კარგი შანსი ივან პერიშიჩსაც მისცა, მაგრამ სულ ეს იყო. ინტერის თამაში აქ მორჩა, ბოლოს კი ხორდი ალბამ საქმე დაამთავრა...

პსვ-ტოტენჰემი 2:2

ეინდჰოვენი. ფილიპსი

1:0 ლოზანო (29), 1:1 ლუკას მოურა (39), 1:2 კეინი (54), 2:2 დე იონგი (88)

გაძევება: ლორისი (79)

ისე ჩანს, რომ ამ გუნდებს ჩემპიონთა ლიგაზე მოგება ერთმანეთშიც კი არ უწერიათ. ჯგუფის ატსაიდერებმა პირად შეხვედრაშიც ვერ გაარკვიეს გამარჯვებული.

ინგლისელები უკეთ გამოიყურებოდნენ. მართალია, თავიდან აგებდნენ, მაგრამ მალევე მოახერხეს ანგარიშის სათავისოდ შემოტრიალება, თუმცა, შინ 3 ქულით მაინც ვერ გაბრუნდნენ – მატჩის მიწურულს ლუკ დე იონგმა მოახერხა საკუთარი გუნდისთვის ქულა მოეტანა. საკმაოდ მნიშვნელოვანიც. ახლა ეს გუნდები მხოლოდ მე-3 ადგილისთვის თუ იბრძოლებენ და ევროპის ლიგაზე გადამსვლელის ბედს ლონდონში გაარკვევენ.

ც ჯგუფი

ლივერპული-სევილა ზვეზდა 4:0

ლივერპული. ენფილდი

1:0 ფირმინო (20), 2:0 სალაჰი (45), 3:0 სალაჰი (51, პენ), მანე (80)

გამოუყენებელი პენალტი: მანე (76)

დიდი ხანია ლივერპულს საკუთარი გულშემატკივარი ბევრი გატანილი გოლით არ გაუხარებია და ეს არა პრემიერლიგაში, არამედ ჩემპიონთა ლიგაზე მოახერხეს. ცრვენა ზვეზდა კი არა მარტო ჯგუფის, არამედ მთლიანად ლიგის უსუსტეს გუნდად ჩანს.

მერსისაიდელთა შემტევი ტრიოდან ყველამ გაიტანა. აქედან მომო სალაჰმა ორიც კი. ამდენივეს გატანა საღიო მანესაც შეეძლო, მაგრამ გოლის გარდა პენალტი გააცუდა. ბელგრადელთა რბევა კი ფირმინიომ დაიწყო.

პსჟ-ნაპოლი 2:2

პარიზი. პარკ დე პრენსი

0:1 ინსინიე (29), 1:1 რუი (61სკ), 1:2 მერტენსი (76), 2:2 დი მარია (90)

ეს იყო ლამაზი, დამაინტრიგებელი და დრამატული სანახაობა, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა. პსჟ უტევდა, ნაპოლი კი თავის შანსს ელოდა და ორჯერ მიიღო. ჯერ ინსინიემ დააწინაურა ნეაპოლიტანელები, შემდეგ – დრის მერტენსმა და თითქოს 3 ქულაც უნდა წაეღოთ პარიზიდან, მაგრამ ანხელ დი მარიამ მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში „გამოხტა“ და ნაპოლის სახლში გამარჯვებული წასვლა არ დაანება.

დ ჯგუფი

გალათასარაი-შალკე 0:0

სტამბული. ტელეკომი

უგოლოდ დაშორდნენ გუნდები ერთმანეთს. გერმანელებმა გაუძლეს მეტოქის დაწოლას დასაწყისში და დარჩენილი დროში მოგებაც შეეძლო. მართალია, ბურთს თურქები აკონტროლებდნენ, მაგრამ მომენტებს შალკე ქმნიდა, მაგრამ ხან შემტევები სცოდავდნენ, ხან დერდიოკი იგერიებდა მათ დარტყმულს, კონოპლიანკამ ძელსაც გაარტყა.

საბოლოოდ, ფრე და ფლეი ოფში გამსვლელის ვინაობას ეს გუნდები ერთმანეთში უკვე გელზერკიხენში გაარკვევენ.

ლოკომოტივი-პორტუ 1:3

მოსკოვი. ლოკომოტივი

0:1 მარეგა (26), 0:2 ერერა (35), 1:2 მირანჩუკი (38), 1:3 კორონა (47)

გამოუყენებელი პენალტი: ფერნანდესი (10, ლოკომოტივი)

გაძევება: კვირკველია (76)

ლოკომოტივმა მოახერხა და კიდევ ერთი მატჩი წააგო საკუთარ არენაზე. არადა, თამაში მათთვის იდეალურად დაიწყო – პორტუს კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ ფერნანდესმა ვერ გაიტანა და დაისაჯა კიდეც.

პირველ ტაიმში მარეგამ და ერერამ პორტუ სოლიდური უპირატესობით დააწინაურეს. მართალია, მირანჩუკმა მატჩს ინტრიგა მალევე დაუბრუნა, მაგრამ მე-2 ტაიმის დასაწყისშივე 2-ბურთიანი ჰანდიკაპი კორონამ აღადგინა. შემდეგ რკინიგზელებს სოლომონ კვირკველია გაუძევეს და ლოკოს იმედიც საბოლოოდ იქ დასრულდა.

სავარაუდოდ, ლოკომოტივი ჯგუფში ბოლო ადგილს დაიკავებს და ჩემპიონთა ლიგაზე მოთამაშე ერთადერთ ქართველსაც „დავკარგავთ“.

17 წლამდე ნაკრებმა შესარჩევი მარცხით დაიწყო

საქართველო-დანია 1:3

ჰობრო. ჰობრო სტადიუმი

1:0 მორჩლაძე (3), 1:1 ჰოიბერ-თომსენი (38), 1:2 ჰოიბერ-თომსენი (58), 1:3 ლინდი (90)

საქართველო: ხარშილაძე, კვარაცხელია, ჭინჭარაული, ხვადაგიანი, აზაროვი, ბანდიანიშვილი (ტორონჯაძე 81), ტალახაძე, მორჩილაძე, ოგბაიძე (აბუაშვილი 56), ზურაბიანი (მირზიკაშვილი 68), ომარაშვილი (ხვედელიძე 56)

დანია: ეგიდიუსი, ფუგლსანგი, ჰაარი, აგერბეკი, მადსენი, სორენსენი, კრისტენსენი, ჰოიბერ-თომსენი, დამტოფტი (ზაარი 62), კრონე (ლინდი 83), სიმსირი (ბიერეგაარდი 62)

საქართველოს 17 წლამდე ნაკრებმა ევროპის 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ასპარეზობა მარცხით დაიწყო. ჩვენს ქვეჯგუფს დანია მასპინძლობს და მეტოქეც პირველ ტურში მასპინძელი იყო.

საქართველოს 17 წლამდე ნაკრებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა და შეეძლო მინიმუმ ქულა მოეპოვებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. არადა, ყველაფერი იდეალურად დაიწყო. მე-3 წუთზე ქართველებმა ჩინებული კომბინაცია გაითამაშეს და შეტევა გოლით თორნიკე მორჩილაძემ დაასრულა.

ჩვენებმა პირველ ტაიმს ვერ გაუძლეს და 38-ე წუთზე დანიელთა ბრწყინვალე კომბინაცია გოლით ჰექტორ ჰოიბერ-თომსენმა დაასრულა. მანვე, მეორე ტაიმის დასაწყისში, წინ გაიყვანა მასპინძლები.

ჯელაძის შეგირდებს შეეძლოთ თამაშის გადარჩენა, მაგრამ 90-ე წუთზე აზაროვმა ძალიან ხელსაყრელი პოზიციიდან კარს ოდნავ ააცილა. საპასუხოდ კი, მესამე გოლიც გავუშვით. ჩვენი კარის მიმართულებით პენალტი დაინიშნა, მაგრამ ლუკა ხარშილაძემ ივარგა და იენსენს აუღო. თუმცა, მცველები მოდუნდნენ და დამატებაზე ლინდმა ადვილად გაიტანა.

შედეგად 1:3 და საკვალიფიკაციო ეტაპის წარუმატებელი დასაწყისი.

საქართველოს 17 წლამდე ნაკრები მომდევნო შეხვედრას 27 ოქტომბერს რუსეთთან ჩაატარებს, ხოლო მესამე ტურში, 30 ოქტომბერს ესტონეთს გაეჯიბრება.

ჯგუფიდან 2 გუნდი გადის. საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ ჯერი ელიტ-რაუნდზე მიდგება, ხოლო ელიტ-რაუნდის მერე შედგება ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი, რომელიც 2019 წლის მაისში ირლანდიაში გაიმართება.

ეროვნული ლიგის ცენტრალური მატჩი გორში გაიმართება

26 ოქტომბერი

ხუსთავი-ჩიხურა

15:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2

საინტერესო მატჩია. რუსთავი გასავარდნ ზონასთან ახლოს არის, ხოლო ჩიხურა სამეულისთვის იბრძვის. ამასთან, საჩხერლები კარგ ფორმაში არიან და ზედიზედ 3 მატჩი მოიგეს.

ცხრილისთვის ცუდად არც რუსთავი თამაშობს და ბოლო მატჩებში ქულებს ფრეებით აგროვებს. ბოლო წრეა და ყველა ქულა ფასობს, ამიტომ, ქვემოქართლელები, არც ამჯერად იტყვიან უარს თუნდაც ფრეზე.

27 ოქტომბერი

ჯოხეთი-სიონი

15:00 ფოთი. პარკი არენა

ამ მატჩმა კოლხეთისთვის ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს. ფოთელებს თუ ელიტაში დარჩენა უნდათ, აუცილებლად უნდა მოიგონ, რადგან შემდეგ მეტოქეებიც რთულდება და დროც ნაკლები რჩება.

თავის მხრივ სიონსაც უნდა გადათამაშებისთვის თავის არიდება, ქულების მოსაპოვებლად კი, უკეთეს მეტოქეს ვერც ინატრებს – ბოლო პერიოდში კოლხეთს ყველა უგებს, ვისაც გაუხარდება.

სამტრედია-დინამო

18:00 ზესტაფონი. დავით აბაშიძე

დინამოს ჯერ კიდევ აქვს შანსი ჩემპიონობისთვის იბრძოლოს, ამიტომ ზესტაფონში მაქსიმუმს გაიღებს, რათა სასურველი შედეგი მიიღოს. ცხადია, ფავორიტიც არის.

სამტრედიას კი კოლხეთის სუნთქვა ესმის. ნათელია, რომ იმერლები გადათამაშებას ვერ ასცდებიან, ხოლო პირდაპირ გავარდნა თავიდან უნდა აიცილონ. საამისოდ ქულებია საჭირო. რამდენად მოახერხებს მოპოვებას დინამოსთან, მატჩი გვიჩვენებს.

დილა-საბუთათარი

20:00 გორი. თენგიზ გურჯანაძე

ტურის ცენტრალური შეხვედრა. დილა სამეულისთვის იბრძვის, რათა ევროსაგზური მოიპოვოს, ხოლო საბურთალო პირველი ჩემპიონობისკენ მიიწევს და ვინძლო უკეთესი შანსი, შესაძლოა, აწი არც ჰქონდეს.

აქედან გამომდინარე დაძაბული და საინტერესო შეხვედრა უნდა გამოდგეს.

28 ოქტომბერი

ლოკომოტივი-ტორპედო

15:00 თბილისი. მიხეილ მესხი 2

ერთადერთი გუნდი, რომელიც ცხრილში მშვიდად არის, ლოკომოტივია. გუნდი არც გავარდება და ვერც მაღლა აიწევს. ტორპედოს კი ქულები სჭირდება, რადგან სამეულისთვის და ევროსაგზურისთვის იბრძვის. ფავორიტადაც რიონისპირელები მიიჩნევიან.

სატუნირო ცხრილი:

1.საბურთალო	29	21	3	5	55-25	66
2.დინამო	28	18	5	5	53-24	59
3.ჩიხურა	29	15	5	9	44-27	50
4.ტორპედო	28	14	7	7	45-23	49
5.დილა	29	13	10	6	49-36	49
6.ლოკომოტივი	29	9	6	14	34-47	33
7.რუსთავი	29	6	12	11	27-36	30
8.სიონი	29	6	6	17	28-51	24
9.სამტრედია	29	3	9	17	24-53	18
10.კოლხეთი	29	4	7	18	24-61	13

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ქალი ქმარს წამლავდა, აფეთქებდა, ახრჩობდა და ბოლოს ტყვია დაახალა

ინგლისის კენტის საგრაფოს ქალაქ მეიდსტონის სასამართლომ ჰეილი ვეზეროლის საქმის მოსმენა დაიწყო, რომელმაც საკუთარი ქმარი რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ მოკლა.

ქალმა ტვინის კიბოთი დაავადებული 49 წლის მეუღლის რეიმონდის მოკვლა 2017 წლის ზაფხულიდან მოყოლებული 2018 წლის ადრეულ გაზაფხულამდე რამდენჯერმე სცადა. 32 წლის ჰეილი თავის საყვარელს და მეუღლის საუკეთესო მეგობარ გლენ პოლარდს და მის 20 წლის ქალიშვილ ჰიზერს შეუთანხმდა.

ამ დროის განმავლობაში მათ მამაკაცის მოწამვლა, მისი მანქანის აფეთქება და თევზაობის დროს წყალში დახრჩობა სცადეს. რეიმონდი ამ ყოველივეს აღიქვამდა, როგორც „უიღბლო შემთხვევებს და დამთხვევას". მისი მეუღლის ბრაუზერის ისტორიაში პოლიციელებმა აღმოაჩინეს მოთხოვნები „ჩუმად მოკვლის ტექნიკა", „მკვლელობის კრეატიული საშუალებები" და „16 ნაბიჯი ვინმეს ისე მოსაკლავად, რომ თავად არ ჩავარდე".

საბოლოოდ რეიმონდი თავში ტყვიის სროლით იქნა მოკლული: ტყვია მას მარჯვენა ლოყაში მოხვდა და მარცხენაში გამოვიდა. დანაშაულის ადგილის მახლობლად გამომძიებლებმა ჰიზერ პოლარდის მიტოვებული მანქანა აღმოაჩინეს.

პროკურორი საიმონ ტეილორი ამტკიცებს, რომ მკვლელობის მოტივს ჰეილის და გლენ პოლარდის ინტიმური ურთიერთობა წარმოადგენდა. ამ უკანასკნელის ქალიშვილი საყვარლებს მამის სიყვარულის გამო ეხმარებოდა. სამივე დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობას უარყოფს. საქმის მოსმენა გრძელდება.

აღსანიშნავია, რომ ჰეილი რეიმონდს ცოლად 2016 წლის ნოემბერში გაჰყვა და მათ სამი შვილი ჰყავთ.

ტყუპი დები ტყუპი ძმები გახდნენ

აშშ-ში ტყუპმა დებმა ერთდროულად გადაწყვიტეს ტყუპი ძმები გამხდარიყვნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ამერიკული გამოცემა ავრცელებს.

მერილენდის შტატის ქალაქ ბალტიმორის მკვიდრი ჯეკლინ და ჯენიფერ გრეიფები, 1995 წლის ივნისში კონსერვატორი ქრისტიანების ოჯახში დაიბადნენ. მათ აღიარეს, რომ ბავშვობიდან ოცნებობდნენ ღამით გოგონებად დაძინებულებს დილით ბიჭებად გაღვიძებოდათ. მართალია მათ ტრანსგენდერების შესახებ არაფერი სმენოდათ, მაგრამ საკუთარ გრძნობებს შიშით ერთმანეთსაც კი არ უმხელდნენ.

18 წლის ასაკში თავი ტრანსგენდერებად გამოაცხადეს, ჯეკი და ჯეისი დაირქვეს და საცხოვრებლად ჯორჯიის შტატში გადავიდნენ. 2017 წლის აპრილში მათ ჰორმონალური თერაპია დაიწყეს, ხოლო 2018 წლის აგვისტოში მკერდის მოცილების ოპერაცია გაიკეთეს.

ჯეკი, რომელიც შერიფის თანაშემწედ მუშაობს, აღიარებს, რომ მართალია მათი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა ყველა გარშემომყოფი არ აღიქვამს მათ მამაკაცებად.

– ხალხი დღემდე ისე მოგვმართავს, როგორც ქალებს, როდესაც მეს-მის „ქალია თუ კაცი", ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს მუცელში ჩამცხეს, – აცხადებს ჯეკი.

ჯეისმა ახლახან ჩააბარა პოლიციის აკადემიაში. მისი თქმით, ძმის მხარდაჭერა მისთვის მეტად მნიშვნელოვანია. ამჟამად ის 19 წლის სტუდენტ გოგონას ჯეს სმიტს ხვდება, ხოლო მისი ძმა საფუნთუშეს 22 წლის მფლობელ მეიგონ ერინგტონზეა დანიშნული. ტყუპებმა სექტემბრის ბოლოს მიიღეს საბუთები, რომელშიც ისინი მამაკაცებად არიან აღნიშნულები.

შიშველი სერფერი ზვიგენს თავით დაეჯახა

ავსტრალიაში სერფერს თავს ზვიგენი დაესხა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მამაკაცმა თავად გამოიწვია ცხოველის აგრესია, როდესაც შემთხვევით თავით დაეჯახა.

ინციდენტი ახალი სამხრეთ უელსის შტატის ქალაქ ნიუკასლის მახლობლად სამურაის ნუდისტების პლიაჟზე მოხდა. 51 წლის პოლ კენი სერფერზე გაწოლილი ცურავდა. ის „უკანასკნელი ტალღის დაჭერას" აპირებდა. ამ დროს მან შემთხვევით თავი წყალში ჩაჰყო და ქვევით მცურავ ზვიგენს სთხლიშა.

ამის პასუხად მტაცებელმა თევზმა მას მარჯვენა ხელზე უკბინა და ქვევით დაქაჩა.

– ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ჩემი ხელი მის ხახას წვდებოდა. ის მოტრიალდა და ყბები დახურა, საბედნიეროდ მისი კბილები არტერიას ასცდა, – განაცხადა ავსტრალიელმა. ის მტაცებელს მანამდე ურტყამდა მეორე ხელს, სანამ ზვიგენმა პირი არ გაუშვა და გაეცალა.

ამის შემდეგ, მან სასწრაფოდ გაცურა ნაპირისკენ და ცდილობდა დაშავებული ხელი მაღლა დაეჭირა.

– ყველგან სისხლი იყო და ვშიშობდი, რომ ზვიგენი არ მობრუნებულიყო, – დაამატა კენიმ. ნაპირთან მიახლოებულს სხვა დამსვენებლებიც მიეხმარნენ წყლიდან ამოსვლაში. ხელი შეუხვიეს და ექიმი გამოიძახეს.

საავადმყოფოში მამაკაცს ჭრილობები გაუკერეს. იმის გამო, რომ ერთ-ერთი ჭრილობა საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა, ექიმები იძულებულნი გახდნენ 20-მდე ნაკერი დაედოთ. კენი საავადმყოფოში რჩება, მისი მდგომარეობა სტაბილურია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 ოქტომბისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით მშვიდად ხართ, პროფესიულ პრობლემებს სწრაფად აგვარებთ. **კურო** – კეთილისმყოფელი დღეა. არაფერი გაწუხებთ. შემოქმედებით პოტენციალს საკმაოდ ფართოდ ავლენთ. **ტყუპები** – სამოგზაუროდ წასასვლელად, ფიზიკური დატვირთვისათვის ეს დღე შესაფერისია. ახალი ნაცნობობა, სავარაუდოდ, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზრდება. **კირჩხიბი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, ნურაფერს დაგეგმავთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **ლომი** – მზარდი სასიცოცხლო პოტენციალი გარშემომყოფებთან ურთიერთობაზე დადებითად აისახება. საყიდლებზე წასასვლელად მშვენიერი პერიოდია. **ქალწული** – დღის პირველი ნახევარი მეტ-ნაკლებად იღბლიანია. საღამოს ერიდეთ სტრესულ სიტუაციებს. **სასწორი** – მოტყუების ალბათობა დიდია. ამიტომ იოლად არავის მიენდოთ. **ღრიანკალი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება გამართლებულია. მოახდინეთ ენერგიის კონცენტრირება. **მშვილდოსანი** – დოკუმენტების გასაფორმებლად იღბლიანი დღეა. ნებისმიერ საქმეს უპრობლემოდ აგვარებთ. **თხის რქა** – საქმიანი და პირადი ხასიათის შეხვედრები წარმატებით ჩაივლის. უკმაყოფილო არ დარჩებით. **მერწყული** – ოჯახში წვრილმანი პრობლემების მოგვარება გიწევთ. დროა, ფასეულობების გადაფასებაზე იფიქროთ. **თევზები** – საყიდლებზე წასვლა გაგახალისებთ. ნავაჭრი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. პიტნითა და ყინულით შეზავებული ვისკი ან რომი; 2. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 3. ბელურისნაირთა ოჯახის ფრინველი; 4. ჩეხური ნაგაზი; 6. ქართველ მწერალ არსენ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 15. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 16. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. ფრანგი კინოვარსკვლავი მამაკაცი; 19. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 21. ლომის, ვეფხვის ნაშიერი; 22. სურნელოვანი პარფიუმერიული სითხე.

თარაზულად: 5. მზის სისტემის პლანეტა; 7. მდინარე კახეთში; 8. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 12. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ხევსურეთში; 13. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. მუზეუმი მადრიდში; 20. მადნის, ქვანახშირის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 23. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 24. მკბენარა მწერი; 25. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 26. წვრილმარცვლოვანი მაღალხარისხოვანი ყავის ჯიში; 27. უცოდინარი, უვიცი ადამიანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაგეტი; 2. სერალი; 3. გუაში; 5. რომი; 6. ჩინური; 8. იკორთა; 11. ფერეიდანი; 13. ბორჯომი; 14. კოკაინი; 15. გიენოსი; 19. სურო.

თარაზულად: 1. ბუნდესტაგი; 4. მოდრიჩი; 7. გომბორი; 9. შეიკერი; 10. ეფელი; 12. პარალიზი; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. გორდონსი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. აუდიტი; 2. ციცკა; 3. სლაიდი; 4. არენდა; 6. ოკლენდი; 9. კოქსი; 11. ბილაინი; 15. ატკინსონი; 16. კატერი; 17. კარამელი; 19. იდიოტია; 21. ბრონქსი; 22. ჰაშიში.

თარაზულად: 5. მურყვამი; 7. არქტიკა; 8. მიტელი; 10. გორგაძე; 12. დვირი; 13. ბრიზი; 14. „მასკარადი"; 18. ხვატი; 20. მაჭარი; 23. რაუნდი; 24. ოშკი; 25. ხორუმი; 26. შინი; 27. ისტორია.

ცოტნე გამსახურდიამ კახი კავსაძეს და „ქართულ ხმებს“ ბებერი მძორები უწოდა

ზვიად გამსახურდიას შვილმა ცოტნე გამსახურდიამ მსახიობ კახი კავსაძეს და ანსამბლ „ქართული ხმების“ წევრებს ბებერი მძორები უწოდა.

ასეთი შეფასება ხელოვანებმა მას შემდეგ დაიმსახურეს, რაც კახი კავსაძემ „ქართულ ხმებთან“ ერთად სალომე ზურაბიშვილს მრავალუამიერი უმღერა.

ცოტნე გამსახურდია:

– ბებერი შემძრომები, თვითონ თუ ახსოვთ მერამდენე ხელისუფლებას უმღერიან? ფუ, რა ამაზრზენია ამათი ტინგიცობის ყურება! უკულტურო, უინტელექტო ბიდლო და ნასუფრალს მიჩერებული ინწილიგენცია. აი, ქოცების ორი საყრდენი სვეტი...

ქართულ სიტყვას კოპენჰაგენში მონუმენტი დაუდგეს

დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მდებარეობს მონუმენტი, რომელიც სიტყვას ეძღვნება. მემორიალზე სიტყვა სხვადასხვა ენაზეა ამოტვიფრული. მათ შორის ქართულადაც.

კახა ხიმშიაშვილი:

– კოპენჰაგენში გადავაწყდი პატარა მემორიალს თუ მონუმენტს, რომელიც სიტყვას ეძღვნება. ჰოდა ესეცაა იქ...

გურამ ქართველიშვილი: „იმ მომავლის წარმოდგენაც კი მზარავს, რომელსაც დღეს ვძერწავთ“

ასე მიაჩნია მწერალ გურამ ქართველიშვილს და საქართველოს მომავალზე წუხს:

– ისე ვექცევით საქართველოს ნებისმიერი სოციალური ფენის ქართველობა, რომ არამია ჩვენზე მამულიც, ენაც და სარწმუნოებაც! ასეთ ერს სახელმწიფო ვერასდროს ექნება, რადგან ის მიზანმიმართულად ანგრევს მას... დღევანდელ ქართველს სახელმწიფო ისევ „მეწველი ძროხა“ ჰგონია, ხოლო სამშობლოს ღალატს ისე ჩადის, თითქოს წყალი დაელიოს.

იმ მომავლის წარმოდგენაც კი მზარავს, რომელსაც დღეს ვძერწავთ. არადა დრო დაგვიდგება ისეთი, როცა ვეღარ გვიშველის სამშობლოს ძარცვით და მიტოვებით საკუთარი ღობის შიგნით დაგროვილი ქონება, ვერც ლგბტ და ვერც თეძომოქანავე იდეოლოგია შეაძლებინებს ამ მკაცრ გეოპოლიტიკურ გზაგასაყარზე სახელმწიფოს არსებობას...

საქართველო რეალობიდან ამოვარდნილი ზონაა და ამიტომ მის რეალობაში დაბრუნებას დიდი კატაკლიზმები მოჰყვება შედეგად....

რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“ საქართველოს კინოთეატრებშია

რეჟისორ რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“, რომელიც არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია, საქართველოს კინოთეატრებშია.

ფილმი დრამაა და საქართველოს, რუსეთის, ხორვატიისა და ესპანეთის ერთობლივი ნაწარმოებია. იგი ხანმოკლე, მაგრამ გამანადგურებელ ომში ფიზიკურად გადარჩენილი ორი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ისინი იკავებენ ნაჩქარევად გამოთავისუფლებულ სახლებს, მაგრამ მშვიდობიან გარემოში ახალი ცხოვრების დაწყება არ შეუძლიათ. ომი ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გრძელდება. ფილმი რუსუდან გლურჯიძის სადებიუტო ნამუშევარია. მისი პრემიერა კარლოვი-ვარის საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმართა, სადაც ის გამარჯვებული გახდა. კარლოვი ვარის კინოფესტივალს მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალები მოჰყვა, სადაც ფილმმა პრიზები მოიპოვა.

რუსუდან გლურჯიძის ნამუშევარი საქართველომ ოსკარზეც წარადგინა საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის კატეგორიაში, თუმცა ფილმი „ოსკარის“ მოკლე ნუსხაში ვერ მოხვდა.

გრაკლიანი გორის კონსერვაცია დაიწყო

ფოტოხელოვანი კუკური მეტრეველი გრაკლიანი გორასთან დაკავშირებით უახლეს ინფორმაციას ავრცელებს:

– გრაკლიანი გორა – არქეოლოგიური ძეგლი საქართველოში, შიდა ქართლის მხარეში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე, მდ. ლეხურას მარჯვენა ნაპირზე წამომართულ გორაზე, უშუალოდ თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილთან.

არქეოლოგიური ძეგლი წარმოადგენს მრავალფენოვან ნამოსახლარს და სამაროვანს. აღმოჩენილი მასალა მიეკუთვნება სხვადასხვა პერიოდს პალეოლითიდან ძვ.წ. აღ. II-I საუკუნეებამდე, როდესაც გრაკლიან გორაზე ადამიანის აქტივობა უნდა დასრულებულიყო.

2015 წელს გრაკლიანი გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2015 წელს გორაზე ძვ. წ. აღ. VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი წარწერა გამოვლინდა. დღემდე უცნობი წარწერა გრაკლიანის საკურთხეველზე ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2 700 წლის ისტორიას ცხადყოფს.“

ქართული ვიკიპედიიდან ამოწერილ ამ ტექსტს ვერაფერს დავამატებ.

როგორც იქნა, მოვინახულე ეს მართლაც უნიკალური არქეოლოგიური ძეგლი. სამწუხაროდ, წარწერები ჩვენს მისვლამდე რამდენიმე წუთით ადრე დროებით ქვიშით ამოვესოთ და ვერ ვნახეთ, მაგრამ რაც ვნახეთ, მართლაც შთამბეჭდავი და არაჩვეულებრივია!

ვიცი, ბევრი ჩვენი მეცნიერი სკეპტიკურად უყურებს გრაკლიანი გორაზე აღმოჩენილი უძველესი დამწერლობის ნიმუშის თემას. აქაური სიტუაცია ძალიან წაგავს საყდრისისას. იქაც და აქაც სოლიდური უცხოური ლაბორატორიები, ინსტიტუტები და პროფესორები აღიარებდნენ და აქაც აღიარებენ, ჩვენი მისვლისას იქ მყოფმა სპეციალურად მოწვეულმა იტალიელმა პროფესორმა, რომლის გვარი ვერ დავიმახსოვრე და რომელიც ბატონ ლიჩელს თუ დავუჯერებთ, ამ სფეროში მსოფლიო მეტრია, ჩემს ერთსიტყვიან შეკითხვაზე ძეგლის თაობაზე ხელებგაშლილმა მიპასუხა – „ფანტასტიკაო!“, ამ აღმოჩენის უნიკალურობას და ნამდვილობას, მაგრამ ზოგჯერ ერთმანეთის ჯიბრით და სხვადასხვა ინტერესების გამო, ჩვენ თვითონ ვაკნინებთ ჩვენივე ისტორიული მემკვიდრეობის მნიშვნელობას!...

საბედნიეროდ, გრაკლიანის ძეგლის დაკონსერვება და ინფრასტრუქტურის მოწყობა მიმდინარეობს და საყდრისის ბედს არ გაიზიარებს, მთავარი ესაა! მტყუან-მართალი მერე გაირკვევა.

ეროვნულ არქივს აუდიოწიგნები შეემატა

საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრმა საქართველოს ეროვნულ არქივს აუდიოწიგნების არქივი გადასცა.

1600-ზე მეტ მაგნიტურ ფირსა და 5800-ზე მეტ აუდიოკასეტაზე 1950-80-იან წლებში ჩაწერილია ქართველი და უცხოელი ავტორების 1000-ზე მეტი ნაწარმოები, ასევე ზღაპრები და სიმღერები.

ჩანაწერებს შორისაა მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო“, ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული“, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“, თამაზ ჭეიშვილის „ხუთი ოლიმპიელი“, ონორე დე ბალზაკის „გამქრალი ოცნებანი“, რადიარდ კიპლინგის „მაუგლი“... ტექსტებს კითხულობენ ცნობილი მსახიობები და დიქტორები გიზო სიხარულიძე, ზაზა ლებანიძე, გივი ჩუგუაშვილი, დავით დვალიშვილი, იზა დავითაშვილი, გოგი ხარაბაძე, ჯემალ მონიავა, ლეო ანთაძე, თინა მგალობლიშვილი...

აუდიოწიგნები ეროვნულ არქივს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის დირექტორმა ცირა ვეფხვაძემ პირადად გადასცა. მისი თქმით, ჩანაწერებს ამ ფორმატში მკითხველი ვეღარ იყენებს. ეროვნულ არქივისათვის მისი გადაცემა ემსახურება ორ მიზანს: აუდიოკასეტები და ფირები ელექტრონულ მატარებელზე იქნება გადატანილი და გამარტივდება მისი მოსმენა, ამასთან, ორიგინალები დაცული იქნება აუდიოდოკუმენტების საცავში სათანადო პირობებში.

საქართველოს ეროვნული არქივის კინოფოტოფონო დოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის გიორგი კაკაბაძის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც აუდიოჩანაწერების დედნები დამუშავდება საარქივო წესით, გადაინაცვლებს საცავში, დამზადდება მათი ციფრული ვერსია და მსმენელისთვის ხელმისაწვდომი გახდება ონლაინ სივრცეში.

ქუთაისში რეზო ჩხეიძის კინოდარბაზი გაიხსნა



ცნობილი კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის სახელობის კინოდარბაზი მის მშობლიურ ქუთაისში გაიხსნა.

კინოდარბაზის გახსნას რეჟისორის მეგობრები, ოჯახის წევრები, კოლეგები და სტუდენტები ესწრებოდნენ.

კინოდარბაზში შესვლამდე მაყურებელი სპეციალურ დაფაზე შეუძლია გაეცნოს რეზო ჩხეიძის წოდებებსა და რეგალიებს. აბრა ყველას ამცნობს, რომ ამ დარბაზს გენიალური ქართული ფილმის „ჯარისკაცის მამის“ რეჟისორის სახელი ჰქვია.

რეზო ჩხეიძე სამი წლის წინ 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის მიერ შექმნილმა კინოშედევრებმა არაერთი თაობა აღზარდა.

„მსოფლიოში ყველაზე ძლიერმა ადამიანმა“ საკუთარი კვების საიდუმლო გაამხილა

„მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ადამიანის“ ტიტულის ოთხგზის მფლობელმა ბრაიან შოუმ საკუთარ ყოველდღიურ რაციონზე ისაუბრა. მისი მტკიცებით, ის დღეში 12 ათას კალორიას იღებს.

შოუმ აღიარა, რომ კვების გეგმა მისთვის პერსონალურმა დიეტოლოგებმა შეადგინეს, რათა ის იმდენად ძლიერი გამხდარიყო, რამდენადაც ეს იყო შესაძლებელი. მისი თქმით, მისთვის დიეტის დაცვა უფრო რთულია, ვიდრე ვარჯიშები, ვინაიდან ეს „შეუჩერებელი პროცესია“.

საუზმეზე შოუ ერთ ჯამ ფანტელებს, რვა კვერცხს და ერთ სუფრის კოვზ არაქისის ზეთს ჭამს. გარკვეული დროის შემდეგ ის მეორედ საუზმობს: სვამს პროტეინების კოქტეილს, გრანოლის ორ პურს და კიდევ ერთ კოვზ არაქისის ზეთს ჭამს. ერთი საათის შემდეგ შოუ ჭამს ნახევარ კილოგრამ საქონლის ხორცს და კაპელინის მაკარონს ტომატის საწებლით.

საკვების მეოთხედ მიღების დროს შოუ კიდევ ერთ პროტეინების კოქტეილს სვამს ნუშის რძით და აყოლებს გაყინულ ორგანულ მოცვს და ერთ კოვზ არაქისის ზეთს. შემდეგ ჭამს ცხიმგამოცლილ ინდაურის ხორცს, ბრინჯს და ბროკოლს. შოუს მეექვსე სადილობა შედგება 500 გრამი საქონლის ხორცის, კარტოფილის და სატაცურისგან.

და ბოლოს, ბოლო სადილობის დროს შოუ კიდევ ერთ პროტეინის კოქტეილს სვამს და რამდენიმე ჩიზკეიკს მიირთმევს.

შოუს თქმით, ამგვარი დიეტისგან თავს შესანიშნავად გრძნობს და მძიმე ვარჯიშების გამო შიმშილის გრძნობაც კი უჩნდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საფრანგეთში გამოცემულ „ევროპის მონასტრებში“ ვარძია და ბოდბე მოხვდა



საფრანგეთში გამოიცა წიგნი „ევროპის მონასტრები“, სადაც ორი ქართული მონასტერი შევიდა – ვარძია და ბოდბე.

წიგნის გარდა, ევროპელები ქართული მონასტრების შესახებ ინფორმაციას ტელევიზიებითაც შეიტყობენ. სპეციალურად მომზადდა ფილმი ამ მონასტრების შესახებ, რომელიც ევროპის ტელევიზიებით ნოემბრიდან ყოველკვირეულად გავა.

პროექტი კათოლიკოს-პატრიარქის ფონდმა განახორციელა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7029	ევრო — 3.0843
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4913	100 რუსული რუბლი — 4.1219

ამინდის პროგნოზი 26 ოქტომბრისთვის

კიბოთი დაავადებულმა დედამ სიცოცხლე ახალდაბადებულ შვილს შეწირა



დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ქალმა შეგნებულად თქვა უარი ფეხმძიმედ ყოფნის დროს კიბოს მკურნალობაზე და გარდაიცვალა.

2014 წელს ჯემა ნატოლმა შეიტყო, რომ მას, ოთხი თვის ფეხმძიმეს, საკვერცხის კიბო ჰქონდა. იმისთვის, რომ მკურნალობა დაეწყო, მათ შორის ქიმიოთერაპიის კურსიც, ქალს ფეხმძიმობა უნდა შეეწყვიტა, მაგრამ ნატოლმა გადაწყვიტა საკუთარი სიცოცხლე თავისი შვილისთვის მსხვერპლად გაეღო.

ფეხმძიმობის ცხრა თვის მანძილზე სიმსივნე ძალიან გაიზარდა და ექიმები იძულებულნი გახდნენ მისთვის საკეისრო კვეთა გაეკეთებინათ, სანამ სიმსივნეს ამოკვეთდნენ.

– მათ ქალი არ დააძინეს, რათა თავისი პატარა, უმშვენიერესი გოგონა პენელოპა საკუთარი თვალით ეხილა, – ნათქვამია ნატოლის დედის მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

მშობიარობის შემდეგ სიმსივნის ამოკვეთამ წარმატებით ჩაიარა, მაგრამ 2016 წლის აპრილში ექიმებმა ნატოლის ტვინის და ფილტვების კიბო აღმოუჩინეს. მის სამკურნალოდ სოციალური ქსელის დახმარებით, რომელზეც სპეციალური გვერდი შეიქმნა, თანხების შეგროვება დაიწყო. აღნიშნულ კამპანიაში მონაწილეობა ჰოლივუდის მსახიობმა კეიტ უინსლეტმა მიიღო. შედეგად 440 ათასი დოლარის შეგროვება მოხერხდა.

2018 წლის დასაწყისში კვლევამ აჩვენა, რომ ბრიტანელი დედის სხეულში კიბო აღარ იყო. მაგრამ ზაფხულში ექიმებმა მას ისევ აღმოუჩინეს ახალი წარმონაქმნები, ამჯერად ხერხემალზე, ტვინსა და ფილტვებში. სამწუხაროდ, ამჯერად ნატოლის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ანეკდოტი

შვილმა თოფი აიღო და სანადოროდ წავიდა. ტყეში შესული უზარმაზარ დათვს გადაეყარა. იმ წამსვე თოფი მოიმარჯვა და ესროლა, მაგრამ ააცილა. გააფთრებული ცხოველი მისკენ გაქანდა. ისიც შემოტრიალდა და გამოიქცა. გარბის, რაც ძალა და ღონე აქვს, დათვი მისდევს, სადაცაა დაეწევა, ბიჭი სახლს მიუახლოვდა და პირდაპირ კარის ზღურბლთან დაეცა. დათვმა კი თავი ვეღარ შეიმაგრა და ინერციით სახლში შევარდა. ბიჭი წამოხტა, სახლის კარი გამოიხურა და ფანჯრიდან მამას შესძახა:

– მამი, მიდი, შენ ეგ დათვი გაატყავე, მე წავალ, იქნებ კიდევ რამე მოვინადირო!...

●●●

შეძლებული ოჯახის დიასახლისმა იეჭვა, რომ ქმარი ახალგაზრდა მოსამსახურესთან ღალატობდა. ერთ საღამოს მოახლე ქალაქში გაუშვა, თავად კი მის საწოლში ჩაწვა. მალე კარი ჩუმად გაიღო, მამაკაცი შემოვიდა, გაიხადა, ქალს ეცა და საქმეს შეუდგა. როგორც კი დაამთავრა, ქალმა დაიყვირა:

– აბა, რას მეტყვი, ნაძირალავ, გაოცებული ხარ? – და შუქი აანთო.

– ძა-ძა-ძა-ძა–ძალიან... – ძლივს ამოილუღლუღა მებაღემ.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აი შენ, პირადად შენ, რას აკეთებ იმისთვის, რომ მსოფლიოში ომი და შიმშილი შემცირდეს?

– რას და არც ვიმობ და არც ვშიმშილობ.

●●●

ჟურნალისტი ცნობილი მოჭადრაკისგან ინტერვიუს იღებს და გადაწყვიტა მის წინაშე თავი მახვილგონიერებით მოიწონოს:

– და რომელ დედოფალს ანიჭებთ უპირატესობას, ცოცხალს თუ ხისას?

– პოზიციას გააჩნია..

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– აი, ნახე ეს ვიდეო, ტყეში ჩემ ჯიპში ბენზინის ავზის ლუქიდან ორ წამში შევძვერი.

– ვაა, რა მაგარია, და ვინ გადაიღო?

– შემთხვევით დათვმა თათი დააჭირა...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

TRADE MARK
安神補心丸
ANSHEN BUXIN WAN
300PILLS

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

TRADE MARK
XIAO HUO LUO DAN
香港中成藥注冊編號: HKP-01423
200 PILLS

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

კიმ კარდაშიანმა სურათები შიშველ მამაკაცთან გადაიღო

რეალითი-შოუს „კარდაშიანების ოჯახი“ მონაწილემ კიმ კარდაშიანმა საკუთარი კოსმეტიკის ახალი ხაზის რეკლამაში მიიღო მონაწილეობა. ფოტოსურათების სერია მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ერთ-ერთ კადრში 37 წლის ტელევარსკვლავი ლურჯი ფერის ოთახში დივანზე ტანზე შემოტმასნილ ბოდიში გამოწყობილი იმყოფება. კარდაშიანთან ერთად ფოტოსესიაში სრულიად შიშველი შავკანიანი მოდელი მამაკაცი მონაწილეობს, რომელსაც სარკე უჭირავს.

სოციალური ქსელების მომხმარებელებმა საკუთარ კომენტარებში კარდაშიანის მეუღლე ამერიკელი რეპერი კანიე უესტი არცთუ სასიამოვნო კონტექსტში მოიხსენიეს.

– კანიე, ანუ საკუთარ მეუღლეს უფლება მიეცი, სხვა მამაკაცის გენიტალიებს უყუროს, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

– კი მაგრამ, ის ხომ შენი ქმარი არ არის..., – აღშფოთებას ვერ მალავდა მეორე.

ამ დროისთვის სოციალურ ქსელში გამოქვეყნებულმა აღნიშნულმა ფოტოსურათებმა ორ მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

რობინ ვან პერსი სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს

ფეინოორდის ვეტერანმა ფორვარდმა, რობინ ვან პერსიმ განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს ის კარიერას დაასრულებს და სავარაუდოდ, მწვრთნელი გახდება. ვან პერსი გაზაფხულზე 36 წლის ხდება და მისი აზრით, დასრულების დრო მოვიდა:

– იყო პერიოდი, როდესაც ფეხბურთისგან სიამოვნებას ვეღარ ვიღებდი, მაგრამ ახლა ასე არ არის. მინდა მაშინ წავიდე, როცა ფეხბურთი ისევ მეყვარება, ამიტომ სეზონის ბოლოს კარიერას დავასრულებ. ვამაყობ, რომ 18 წლის მანძილზე პროფესიონალი ვიყავი და ტიტულები მოვიგე, – განაცხადა ვან პერსიმ.

რობინ ვან პერსიმ კარიერის საუკეთესო წლები არსენალში გაატარა, სადაც 2004-12 წლებში ასპარეზობდა.

ფლორენტინო პერესს ლოპეტეგის გაშვება უნდოდა, მაგრამ გადაიფიქრა

მადრიდის რეალის პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს პლზენთან შეხვედრის შემდეგ ხულიან ლოპეტეგის განთავისუფლება უნდოდა, მაგრამ ის სპორტულმა დირექტორმა შეაჩერა. პლზენთან რეალმა გაიმარჯვა, მაგრამ ძალიან არადამაჯერებლად გააკეთა, ხოლო იქამდე კი სამეფო გუნდმა ზედიზედ რამდენიმე თამაში წააგო.

28 ოქტომბერს რეალი სტუმრად ბარსელონას ეთამაშება და თუ რეალმა ეს შეხვედრა წააგო დიდი ალბათობით ლოპეტეგი თავის პოსტს დატოვებს.

ატლეტიკომ სიმეონეს თავკაცობით 4 გოლი ერთ შეხვედრაში პირველად გაუშვა

მადრიდის ატლეტიკო სტუმრად დორტმუნდის ბორუსიასთან 0:4 დამარცხდა და დიეგო სიმეონეს ხელმძღვანელობით მადრიდელებმა პირველად გაუშვეს 4 გოლი. სიმეონემ მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი ასეთ გამანადგურებელ მარცხს არ იმსახურებდა, თუმცა ატლეტიკო არც ესპანეთის ჩემპიონატში გამოიყურება დამაჯერებლად და შესაძლოა, ეს სიმეონეს ბოლო სეზონი იყოს ატლეტიკოში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა



მოჰამედ სალაჰი: „ჩემპიონთა ლიგის მოგება შეგვიძლია“

ლივერპულის ეგვიპტელმა ფორვარდმა მოჰამედ სალაჰმა განაცხადა, რომ წელს ლივერპულმა უნდა შეძლოს ჩემპიონთა ლიგის მოგება და გუნდს ეს შეუძლია. სალაჰის აზრით შარშანდელთან შედარებით, ლივერპული უფრო გაძლიერდა:

– წელს ჩვენ ძალიან დაბალანსებული გუნდი გვყავს და ყველა რგოლში ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ. იღბალიც თუ ჩვენს მხარეს იქნება, მაშინ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც შეგვიძლია, – განაცხადა სალაჰმა.

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ფოლადის ბაგირი; 2. უბანი თბილისში; 3. ბელინის ოპერა; 5. აეროპორტი პარიზში; 6. მდინარე სამეგრელოში; 8. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 11. ალპინისტთა მასობრივი ლაშქრობა; 13. მუნჯი კინოს დიდი კომიკოსი; 14. საფრანგეთის პრეზიდენტი; 15. მთიანეთი აზიაში; 19. ყველაზე დიდი მდინარე პირინეის ნახევარკუნძულზე.

თარაზულად: 1. შაქრითა და სუნელებით შეზავებული ცხელი, წითელი ღვინისგან მომზადებული სასმელი; 4. აზნაურთა ტიტული საფრანგეთში; 7. ქართველი მოდელიორი ქალი; 9. რიგითი მეზღვაური; 10. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტების ბელგიელი კონსტრუქტორი; 12. ნაყინის ერთ-ერთი სახეობა; 16. მდგომარეობა ჭიდაობაში; 17. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 18. სხვისი კეთილდღეობისთვის უანგაროდ მზრუნველი ადამიანი; 20. ძვლისმაგვარი ნივთიერება, კბილის მთავარი შემადგენელი ნაწილი; 21. თვალ-მარგალიტით შემკული თავსამკაული; 22. უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა